

სახელმძღვანელო მამხილებელთა დაცვის შესახებ

საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს
კანონმდებლობის მიმოხილვა

2015 წელი



Empowered lives.
Resilient nations.

გამოცემულია სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დახმარებითა და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის მთავრობის თვალსაზრისს.

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს შესახებ ჩვენი მისიაა საქართველოს საჯარო სამსახურის ერთიანი პოლიტიკის

განხორციელების ხელშეწყობა და პროფესიული, კარიერულ პრინციპზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის განვითარება, კანონმდებლობის დახვეწის, ეფექტიანი და გამჭვირვალე მმართველობის, ეთიკური სტანდარტების დანერგვისა და აგრეთვე, ანტიკორუფციული პოლიტიკის მხარდაჭერის გზით.

ავტორები: დიტერ უმბახი, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა
რედაქტორები: მათა დვალაიშვილი, თამთა ცოცხალაშვილი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	4
1. ვინ არის „მამხილებელი“?	6
2. რა არის მხილების მიზანი?	8
3. საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა	10
3.1. მამხილებელთა დაცვის სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში	10
3.2. მამხილებელთა დაცვის სისტემა გაერთიანებულ სამეფოში	13
3.3. მამხილებელთა დაცვის შესახებ ევროპული ქვეყნების კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი	16
3.4. საერთაშორისო სტანდარტები და რეკომენდაციები	22
3.5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა	26
4. მხილებასთან დაკავშირებული საფრთხეები და მათთან გამკლავების გზები	32
5. მხილება თუ ინფორმაციის გაჟონვა?	43
6. ტრენერის გზამკვლევი	49
დანართი: საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა	
შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ (თავი VI: მამხილებლის დაცვა)	58

შესავალი

მკითხველთა უმეტესობას ალბათ უკვე სმენია სიტყვა „მამხილებელი“, თუმცა მათ უმრავლესობას ბუნდოვანი წარმოდგენა თუ ექნება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობის შესახებ. ფართო გაგებით, მხილების ინსტიტუტი უკავშირდება როგორც ხარისხიან, მიუკერძოებელ და ეფექტურ საჯარო სამსახურს, რომელიც ეფუძნება კეთილსინდისიერებისა და ობიექტურობის პრინციპებს, ასევე კონკრეტული საჯარო მოსამსახურეების მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს. „მამხილებლის“ ფენომენი და მის გარშემო არსებული დისკუსია არც თუ ისე დიდი ხნის წინ წარმოიშვა და უკვე არაერთი ქვეყნის მმართველობის სისტემაში დაინერგა.

საზოგადოებას ესაჭიროება პრინციპული და გაბედული მოქალაქეები, რომლებიც ეფექტურად შეძლებენ როგორც პრობლემური საკითხების, კორუფციული და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების გამოაშკარავებას, ასევე მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია... ისინი ასრულებენ არა მარტო კანონიერ ვალდებულებას სამართალდარღვევებზე რეაგირებასთან დაკავშირებით, არამედ აკისრიათ მორალური პასუხისმგებლობაც, მიუხედავად იმისა, თუ რას ვუწოდებთ მათ: მამხილებლებს, დისიდენტებს თუ აგიტატორებს. მაგრამ ისინი არცერთ შემთხვევაში არ უნდა მივიჩნიოთ იმ პირებად, ვინც უბრალოდ პრობლემებს ქმნიან. 1990-იან წლებში ტერმინი „მამხილებელი“ არ ატარებდა საპატიო და დადებით მნიშვნელობას, თუმცა მას შემდეგ მიდგომა მკვეთრად შეიცვალა.

2014 წლის აპრილის საკანონმდებლო ცვლილებებმა საქართველოს კანონში „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის“ შესახებ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მამხილებელთა დაცვის მექანიზმები. თუმცა, ცნობილია, რომ ყველაზე სრულყოფილ კანონსაც არ ექნება შედეგი, თუ არ მოხდება მისი სათანადოდ აღსრულება. ეფექტურ საკანონმდებლო ჩარჩოსთან ერთად, აუცილებელია ეფექტური სტანდარტებისა და პროცედურების

არსებობა, რომელიც ხელს შეუწყობს მამხილებლების გაბედულ მოქმედებას. ერთი მხრივ, აუცილებელია კანონმდებლობის კარგი ცოდნა და მხილების ალტერნატივების შესახებ ინფორმირებულობა, ხოლო მეორე მხრივ, გამბედაობა მოქალაქეების მხრიდან. მამხილებლის ინსტიტუტისა და მისი სტრუქტურის შესახებ ცნობიერების ამაღლება საჭიროებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერას. შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნები ძალისხმევას არ იშურებენ ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმართვისათვის, საინფორმაციო ბეჭდური მასალების, ინტერნეტში ინფორმაციის განთავსებისა და კარგად ინფორმირებული ტრენერების გამოყენებით. მოცემული ნაშრომიც სწორედ ზემოაღნიშნულ მიზანს ემსახურება.

1. ვინ არის „მამხილებელი“?

ინგლისური სიტყვა “whistleblower” პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს ადამიანს, ვისაც აქვს სასტვენის და უსტვენის. როგორც წესი, ასეთი ქმედება ყურადღებას იპყრობს. ფეხბურთის ან რაგბის მსაჯი უსტვენს, როდესაც ადგილი აქვს აკრძალული ილეთის შესრულებას, არასამართლიან თამაშს ან თამაშის წესების დარღვევას. რამდენადაც ხმამაღალი არ უნდა იყოს სტვენა, არავის აქვს უფლება გადაფაროს მისი ხმა, ან პატივი არ სცეს მსაჯის გადაწყვეტილებას. მსგავს მეთოდს დიდი ბრიტანეთის პოლიცია იყენებდა მე-19 და მე-20 საუკუნეებში. ვინაიდან ამ პერიოდში არ არსებობდა კომუნიკაციის დღევანდელი საშუალებები, როგორცაა მობილური კავშირი და ა.შ., პოლიციელს სახიფათო ვითარებაში ყოფნისას უნდა მიეცა სიგნალი თავისი კოლეგებისთვის. მსგავს სიტუაციაში მას ესაჭიროებოდა დამხმარე და ამიტომ უსტვენდა სასტვენს, რათა ხმა მიეწვდინა ყველაზე ახლოს მყოფი მისი კოლეგებისათვის.

დღეს მამხილებლის ინსტიტუტის მნიშვნელობა ძირეულად შეიცვალა. ახლა მოქალაქე უსტვენს სასტვენს არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ სიმბოლურად, რათა მიაპყროს საზოგადოების, უწყების ხელმძღვანელების და მედიის ყურადღება კონკრეტულ პრობლემებზე. რატომ აკეთებს ის ამას? ხშირ შემთხვევაში კონკრეტული პრობლემა არ არის ცნობილი, მასზე არ მომხდარა რეაგირება ან შეგნებულად ხდება მისი უგულებელყოფა. მაგალითად, მამხილებლისთვის ცნობილი გახდა გარემოსდაცვითი წესების დარღვევის ფაქტი - წარმოების ნარჩენები უკანონოდ იყრება ახლომდებარე მდინარეში, ხოლო კომპეტენტური საჯარო უწყება არ ახდენს შესაბამის რეაგირებას.

მამხილებელი ერთი მხრივ არის პიროვნება, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს საერთო და საზოგადოებრივ სიკეთეებზე, ხოლო მეორე მხრივ ის შეიძლება მიიჩნიონ მოღალატედ, რომელიც აბეზღებს სხვა ადამიანსა თუ დაწესებულებას.

მოკლე დეფინიციით, მხილება არის ორგანიზაციის მოქმედი ან ყოფილი წევრის, ან წევრების მიერ დამსაქმებლის,

ხელისუფლების, ან ადმინისტრაციული ორგანოს კონტროლის ქვეშ მყოფი უკანონო, ამორალური, ან არალეგიტიმური პრაქტიკის, ან პოლიტიკის გამჟღავნება, რომელიც მიმართულია პიროვნებების, ან ორგანიზაციების წინააღმდეგ. სავარაუდო სამართალდარღვევა არ უნდა სცილდებოდეს იმ პირის პირად თუ კერძო ინტერესებს, რომელმაც ეს ინფორმაცია გაამჟღავნა. ამასთან, გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს.

დღესდღეობით, მამხილებელთა ინსტიტუტი უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. მსოფლიოში მასთან დაკავშირებული უამრავი სამართლებრივი რეგულაცია და სხვადასხვა ხარისხის ინფორმაცია მოიპოვება, თუმცა ყოველივე ეს საკმარისი არ არის. პოტენციური მამხილებლები საჭიროებენ დახმარებასა და რჩევას. აგრეთვე, მათ უნდა ჰქონდეთ სტრატეგიული აზროვნების უნარი. ამრიგად, მნიშვნელოვანია სამი მიმართულებით მუშაობა: მამხილებელთა მოტივირება, სწორი სტრატეგიის თაობაზე რჩევის მიცემა და რაც ყველაზე მთავარია – მათი დაცვა. სადავო არ არის, რომ საჭიროა მამხილებელმა სწორი სტრატეგია შეარჩიოს. ამ კუთხით სახელმძღვანელოში რამდენიმე მიდგომაა წარმოდგენილი.

2. რა არის მხილების მიზანი?

მხილება არის ქმედება, რომლის საბოლოო მიზანია გამოააშკარაოს და საზოგადოებისათვის ცნობილი გახადოს ნებისმიერი სახის სამართალდარღვევა და საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედება. აუცილებელია იმ მოქალაქეების წახალისება, რომლებიც ვერ ბედავენ დანაშაულებრივი ქმედების მხილებას. არსებობს სამართალდარღვევების კატალოგი, რომელშიც თავს იყრის 40-მდე სხვადასხვა ქცევა (ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს მიმოვიხილავთ) და რომელთა დაჯგუფებაც შვიდ კატეგორიად არის შესაძლებელი, რაც მათი ანალიზის საშუალებას მოგვცემს.

- ▶ მართლსაწინააღმდეგო ქმედება პირადი სარგებლის მიღების მიზნით;
- ▶ ინტერესთა შეუთავსებლობა;
- ▶ არასათანადო და არაპროფესიული ქცევა;
- ▶ არაეფექტური ადმინისტრირება;
- ▶ რესურსების გაფლანგვა ან არასწორად მართვა;
- ▶ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;
- ▶ პერსონალის უკმაყოფილება სამუშაო გარემო-პირობების მიმართ.

კორუფციის და მასთან დაკავშირებული სხვა დანაშაულებრივი ქმედების მხილების წახალისება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საჯარო ინტერესების დაცვის, საჯარო სამსახურში სამართლიანობისა და ანგარიშვალდებულების კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობისათვის. საჯარო მოხელეები ყოველდღიურად იღებენ ინფორმაციას სამსახურში განვითარებული მოვლენების შესახებ და შესაბამისად, პირველად მათთვის ხდება ცნობილი ნებისმიერი სამართალდარღვევის ფაქტების არსებობის შესახებ. არაერთი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, მოხელეებს აქვთ ვალდებულება, კორუფციის და სხვა სამართალდარღვევის ფაქტები აცნობონ შესაბამის უწყებებს, თუმცა ამის გამო მამხილებლები ხშირად ხდებიან დაშინების, ძალადობის

და სამსახურიდან გათავისუფლების ობიექტები. სხვადასხვა ქვეყანაში მხილება ასოცირდება ღალატსა და ჯაშუშობასთან, რაც ზოგადი კულტურული კონტექსტიდან გამომდინარეობს და მნიშვნელოვნადაა განპირობებული შიდა ორგანიზაციული კულტურითაც.

მხილების წახალისება მჭიდრო კავშირშია მამხილებელთა დაცვასთან. საჯარო მოხელეებმა უნდა იცოდნენ, რა არის მათი უფლებები და მოვალეობები საჯარო სამსახურში სამართალდარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში. ეს უფლება-მოვალეობები გაწერილი უნდა იყოს კონკრეტული წესებისა და პროცედურების სახით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო მოხელეებს ჰქონდეთ ინფორმაცია მამხილებელთა დაცვის მექანიზმების შესახებ.

მამხილებელთა დაცვის შესახებ კანონის შემუშავება მხილების შემთხვევაში დაიცავს საჯარო მოხელეებს რეპრესიებისგან და ამავე დროს, ხელს შეუწყობს გამჭვირვალე და ეფექტური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებას. სათანადო იმპლემენტაციის შემთხვევაში, საჯარო სამსახურში მამხილებელთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა უნდა გახდეს კორუფციასთან ბრძოლის მთავარი და მნიშვნელოვანი იარაღი. შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობამ კი შესაძლოა პირიქით, შეაფერხოს კორუფციასთან ბრძოლის პროცესები და გაზარდოს მამხილებელთა შევიწროვების რისკი.

კანონი მამხილებელთა დაცვის შესახებ ბევრ ქვეყანაშია მიღებული და არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია იძლევა რეკომენდაციებს აღნიშნული სფეროს საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების საჭიროების თაობაზე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მხილების პრაქტიკის დანერგვისთვის მზადყოფნას დიდწილად განაპირობებს კონკრეტულ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური ნება.

3. საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა

3.1. მამხილებელთა დაცვის სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში

მამხილებლის ინსტიტუტი, ისევე როგორც მამხილებელთა დაცვის პრაქტიკა ამერიკაში აღმოცენდა. ის ფუნქციონირებდა, როგორც ფედერალურ, ასევე შტატების დონეზე და მეტწილად დაკავშირებული იყო სიტყვის თავისუფლების გარანტიებთან. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მხილება, როგორც ქცევა, კულტურულად უფრო მეტად მისაღებია ამერიკელი ხალხისთვის, ვიდრე ევროპელებისთვის. მხილების ამერიკული მიდგომა ეფუძნება მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ინდივიდუალურ კონტრაქტს, რაც მოტივაციას უჩინს მოქალაქეს, კონტროლი გაუწიოს და შეეწინააღმდეგოს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული. კანონდარღვევათა გამოაშკარავება და დაგმობა განიხილება არა მხოლოდ სოციალურად გამართლებულ ქმედებად, არამედ, როგორც მოქალაქეების მოვალეობად, ხოლო მამხილებლებს საზოგადოება გმირებად მიიჩნევს.

კონსტიტუციის პირველი შესწორების (1791) თანახმად, სახელმწიფო თავდაცვის თანამშრომლებს, „საჯარო მოხელეებსა და სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც მონაწილეობდნენ სადაზვერვო მონაცემების შეგროვებასა და შეფასებაში, ხელი უნდა მოეწერათ ხელშეკრულებისთვის „ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის შესახებ.“ უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა აღნიშნულ პრაქტიკას (*Snapp v. US*). საკანონმდებლოჩარჩოს შექმნის მიზნით, კონგრესმა ზოგიერთი პრობლემის დასაძლევად მიიღო კანონი „სარჩელის ფალსიფიკაციის შესახებ“ (1863; 1986), რათა პასუხისგებაში მიეცათ კონტრაქტით დაქირავებული ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მონაწილეობდნენ ფედერალური მთავრობის თანხების უკანონოდ მითვისებაში.

სახელმწიფო მოსამსახურეს, რომელიც არაკეთილსინდისიერად ამხილეს, შეუძლია თავი დაიცვას ასეთი ქმედებებისგან 1978 წლის

„საჯარო სამსახურის რეფორმირების შესახებ” კანონის (Civil Service Reform Act) საფუძველზე. „საჯარო სამსახურში ეთიკის შესახებ” კანონში (1978) (Ethics in Government Act) მოცემულია მამხილებელთა დაცვის რამდენიმე მეთოდი. „ლოიდ-ლაფოლეტის კანონი” (1912) (Lloyd-La Follette Act) მიზნად ისახავდა მამხილებელს ჰქონოდა შესაძლებლობა კონგრესისთვის, მისი კომიტეტისთვის ან წევრისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია. აქვე უნდა აღინიშნოს ყველაზე მნიშვნელოვანი ამერიკის სახელმწიფო კანონი „მამხილებელთა დაცვის შესახებ” (1989) (Whistleblower Protection Act (=WPA). აღნიშნული კანონი ავალდებულებს მთავრობის მიერ დაქირავებულ სახელმწიფო მამხილებლებს, მიაწოდონ მას ინფორმაცია უწყებებში სხვადასხვა გადაცდომის შესახებ და ამავედროულად იცავს მათ ხელმძღვანელების მხრიდან ანგარიშსწორებისაგან. მიუხედავად ამისა, ამერიკის უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სახელმწიფო მოსამსახურეებს დაიცავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გამჟღავნებული ინფორმაცია უშუალოდ არ იქნება დაკავშირებული მათ საქმიანობასთან. ვინაიდან აღნიშნული შეიცავდა სახელმწიფო მოსამსახურეების გათავისუფლების საშიშროებას მათ მიერ სამსახურში კორუფციის ფაქტების გამჟღავნების შემთხვევაში, 2012 წელს მიღებულ იქნა კანონი “მამხილებელთა დაცვის გაძლიერების შესახებ” (Whistleblower Protection Enhancement Act (WPEA), რომლითაც გადაიხედა WPA-ის არაერთი დებულება. აღნიშნული აგრეთვე განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სახელმწიფო მამხილებლებს მათი დაცვის საშუალებები ბოლო წლებში არასაკმარისად მიაჩნდათ, რაც მნიშვნელოვნად გამოწვეული იყო WPA-დან გამომდინარე საქმეებზე ექსკლუზიური განხილვის უფლებამოსილების მქონე ამერიკის სახელმწიფო სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული მთელი რიგი გადაწყვეტილებებით. 2012 წლის ოქტომბერში პრეზიდენტმა ობამამ გამოსცა ბრძანება მამხილებელთა დამატებითი დაცვის შესახებ (პრეზიდენტის პოლიტიკის დირექტივა 19), რომელიც ვრცელდება დაზვერვისა და ეროვნული უსაფრთხოების უწყებების თანამშრომლებზე.

კანონი –“No FEAR Act” (Oct, 2002/2003)- კრძალავს სახელმწიფო თანამდებობის პირების მხრიდან უკანონო დისკრიმინაციასა და პირად ანგარიშსწორებას. მთავარი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს დისკრიმინაციისა და პირადი ანგარიშსწორების ობიექტებისათვის კომპენსაციის გადახდა უწყების ბიუჯეტიდან. დამსაქმებელი ვალდებულია,

ყოველწლიური ტრენინგების ფარგლებში, თანამშრომლებს გააცნოს ანტიდისკრიმინაციული და მამხილებელთა დაცვის

შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული მათი უფლებები. „სარბინს-ოქსლის კანონი“ (2012) Sarbanes-Oxley Act (= “SOX”, 2012) ავალდებულებს მამხილებლებს, გაამჟღავნონ ინფორმაცია გარკვეული გარემოებების დროს და ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირები არ გამოააშკარავენ პროტექციის ფაქტებს. ზოგიერთი უწყების თანამშრომლებს მოეთხოვებათ დარღვევების გამჟღავნება (ე.წ. უფლებამოსილი მამხილებლები).

ბოლოს, კანონი „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ 1966, 1974 (Freedom of Information Act =FOIA) უზრუნველყოფს იმ ინფორმაციაზე წვდომას, რომელიც საჭიროა დაგეგმილი მხილების განსახორციელებლად. მაგალითად, მავნე ქიმიური ნივთიერებების გამოყენება ცნობილი უნდა იყოს თანამშრომლებისათვის. არსებითად, ეს არის „ინფორმირებულობის უფლება“, რომელიც აუცილებელია სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. იმ შემთხვევაში, როდესაც ირღვევა ინფორმირებულობის უფლება, ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონი ხშირად ფასდაუდებელია მხილების განსახორციელებლად, მასში არსებული ინფორმაციის გამოთხოვის რეგულაციების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის გამოთხოვა ანონიმურად შეუძლებელია და შესაძლოა ეს მომსახურება ფასიანი იყოს, ის ხშირად საჭიროა მხილების განსახორციელებლად.

გემოაღნიშნულიდან ცალსახად ირკვევა, რომ მამხილებელს საქმე აქვს სამართლებრივ რეგულაციებთან, როგორც შტატების, ასევე ფედერალური კანონმდებლობის დონეზე. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ამერიკაში უამრავი ადვოკატია, რომელიც სპეციალიზებულია მამხილებელთა საქმეებზე, ასევე უამრავი სახელმძღვანელოა მამხილებლების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ მამხილებლებმა (ვოტერგეიტი, ელსბერგი, მანინგსი, სნოუდაუნი და სხვ.) ამერიკის ისტორიის გარკვეული ნაწილი შექმნეს.

3.2. მამხილებელთა დაცვის სისტემა გაერთიანებულ სამეფოში

მამხილებლის ინსტიტუტი დიდ ბრიტანეთში გაცილებით გვიან დაინერგა, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1998 წლამდე მამხილებელთა დაცვა დიდ ბრიტანეთში არ ხორციელდებოდა. ადრეულ 90-იანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი მამხილებლის ინსტიტუტის მიმართ. ძირითადად კერძოსექტორში არსებულმა ფინანსურმა სკანდალებმა, ასევე ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემთხვევების მზარდმა რიცხვმა განაპირობა ამ პროცედურის მიმართ ინტერესის ზრდა. საზოგადოების სულ უფრო მეტი ნაწილი მიიჩნევდა, რომ უბედური შემთხვევების აღკვეთა შესაძლებელი იქნებოდა, თუ დამსაქმებლები ყურადღებას მიაქცევდნენ მოქალაქეების საჩივრებს. დღესდღეობით, მამხილებლების როლი მნიშვნელოვნად მიიჩნევა კორუფციისა და სხვა გადაცდომების გამჟღავნების თვალსაზრისით.

1998 წელს პარლამენტში კენჭი ეყარა კანონს „საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ“. (Public Interest Disclosure Act =PIDA). აღნიშნული კანონი დასაქმებულს იცავს დამსაქმებლის მხრიდან ზიანის მიყენებისა და ვიქტიმიზაციისგან ორ შემთხვევაში: ა) თუ მხილება შედის საზოგადოების ინტერესში და ბ) თუ მხილება უკავშირდება ნებისმიერი სახის სამართალდარღვევას. PIDA ითვალისწინებს შემდეგი სახის გადაცდომებს:

- ▶ სისხლის სამართლის დანაშაული;
- ▶ ვალდებულების შეუსრულებლობა;
- ▶ მართლმსაჯულების ხარვეზი;
- ▶ ადამიანის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნა;
- ▶ გარემოსთვის ზიანის მიყენება;
- ▶ ზემოხსენებული ნებისმიერი ფაქტის შესახებ ინფორმაციის განზრახ

დაფარვა.

PIDA-ს მიღებამდე დიდ ბრიტანეთში არ არსებობდა ოფიციალური მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებდა მამხილებელთა დაცვას

დამსაქმებლის მიერ სამსახურიდან გათავისუფლებისგან. 1993 წელს მიღებული პროფკავშირების რეფორმისა და დასაქმებულთა

უფლებების შესახებ“ კანონის დებულებებში გაწერილი იყო მხოლოდ რამდენიმე დაცვის მექანიზმი, რომელიც ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროებს მოიცავდა. აღნიშნული კანონი ეხება დიდ ბრიტანეთში დასაქმებულ ყველა პირს, როგორც კერძო, ასევე საჯარო და არასამთავრობო სექტორში. დამატებით, PIDA ვრცელდება სახელმწიფო ჯანდაცვის სამსახურში (National Health Service) დასაქმებულ მუშაკებზე, კონტრაქტორებზე, სტაჟიორებზე, უწყების თანამშრომლებზე, სახლიდან მომუშავე პირებზე, პოლიციელებსა და იქ დასაქმებულ ყველა სხვა პირზე. კანონი არ ვრცელდება თვითდასაქმებულ პირებზე (გარდა სახელმწიფო ჯანდაცვის სამსახურისა), დაზვერვის სამსახურსა და შეიარაღებულ ძალებზე.

ბრიტანეთის საზოგადოება მიიჩნევს, რომ მამხილებელთა ინსტიტუტის არსებობას კონკრეტული სარგებელი მოაქვს: ა) ის ხელს უწყობს ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კულტურის ჩამოყალიბებას საჯარო უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში; ბ) ამცირებს ორგანიზაციის რეპუტაციის შელახვისა და მის მიმართ ცილისწამების რისკს; გ) პრობლემების ადრეული გამჟღავნება, ხშირ შემთხვევაში, უზრუნველყოფს მათ დროულ, ეფექტურ და სწრაფ გადაწყვეტას.

PIDA ასევე მოიცავს განსაკუთრებულ დებულებებს: იურისტკონსულტანტისთვის ინფორმაციის გამჟღავნება არ საჭიროებს კეთილსინდისიერებისპრინციპის დაცვას, როგორც ეს სხვა შემთხვევებშია საჭირო, რადგან საკმარისია თანამშრომელს ჰქონდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მის მიერ გამჟღავნებული ინფორმაცია მიუთითებს უკანონო ქმედებაზე. საჯარო დაწესებულებებისთვის ინფორმაციის გამჟღავნება უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით და ექცეოდეს აღნიშნული უწყების კომპეტენციის ფარგლებში. ინფორმაციის გამჟღავნება სხვა უწყებებისთვის, როგორცაა, მაგალითად მედია, უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. ასეთი ქმედება უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით, ხოლო მამხილებელს საფუძვლიანად უნდა მიაჩნდეს, რომ აღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს. ამასთან, PIDA-ში ასევე განსაზღვრულია, თუ ვისთან უნდა ინახებოდეს გამჟღავნებული ინფორმაცია და ასევე მოცემულია იმ პირთა სიაც, ვისთვისაც

შესაძლებელია ინფორმაციის გამჟღავნება.

დამატებით, PIDA უფრო მეტ დაცვას უზრუნველყოფს კონფიდენციალური და ანონიმური ფორმით მხილების შემთხვევაში. მიიჩნევა, რომ ანონიმური მხილება ასუსტებს კეთილი განზრახვის მქონე ადამიანების დაცვას. როდესაც საქმე გვაქვს კონფიდენციალური ფორმით მხილებაზე, რა თქმა უნდა, გამორიცხულია აბსოლუტურ კონფიდენციალურობაზე საუბარი.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა ცალსახად უჭერს მხარს მამხილებელთა ინსტიტუტს და მამხილებლისთვის კომპენსაციის გადასახდელად, ამ უკანასკნელის შევიწროვების ან დისკრიმინაციის შემთხვევაში, იყენებს საჯარო ფინანსებს. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მოქალაქეების დიდი ნაწილი არ არის ინფორმირებული მამხილებელთა დაცვის შესახებ. ამრიგად, დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ ფართო საზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია და განმარტებები შესაბამისი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესახებ. ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მზარდია დაინტერესება მამხილებლის ინსტიტუტისა და საჯარო სამსახურის მიმართ.

მარგარეტ ჰოდჯის (ლეიბორისტი, პარლამენტის წევრი) განცხადებით მამხილებლებს საჯარო სამსახურში მეტი მხარდაჭერა და დაცვა ესაჭიროებათ (გაზეთი „ინდიფენდენტი“, 1 აგვისტო, 2014 წ.). ეს განცხადება ემყარება პარლამენტის წევრის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად მამხილებლების მიერ საჯარო სამსახურში არსებული პრობლემების გამომჟღავნების ფაქტები ერთგვარი „შოკია“, რადგან ამ პირებს ვიქტიმიზაცია ემუქრებათ. მამხილებელთა განცხადებით, ყოველმა მესამე საჯარო მოხელემ არ იცის როგორ ამხილოს პრობლემა, სამართალდარღვევა თუ საჯარო სამსახურში დამკვიდრებული მავნე პრაქტიკა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.3. საერთაშორისო სტანდარტები და რეკომენდაციები

მამხილებლის ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელობა აღიარებულია ყველა ძირითადი საერთაშორისო ნორმატიული აქტის მიერ, განსაკუთრებით აღსანიშნავია კორუფციასთან

ბრძოლის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტები. ევროპის ინსტიტუტების უმეტესი ნაწილი ერთხმად უჭერს მხარს მამხილებლის ინსტიტუტსა და მამხილებელთა დაცვას. ამას მოწმობს ევროპის საპარლამენტო ასამბლეის საბჭოს N1729 დადგენილება (2010).

1.) “საპარლამენტო ასამბლეა აღიარებს მამხილებლების მნიშვნელობას, რადგან მათი ქმედებები ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების გაზრდას და ბძოლის გაძლიერებას კორუფციისა და არასწორი მართვის წინააღმდეგ, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში.”

2.) პოტენციური მამხილებლები თავს იკავებენ მხილების განხორციელებისგან დევნის შიშით ან მათ გაფრთხილებებზე შესაბამისი რეაგირების არარსებობის გამო, რაც ზიანს აყენებს ეფექტური მართვის, ასევე საჯარო სამსახურისა და კერძო ბიზნესების ანგარიშვალდებულების მიმართ საჯარო ინტერესს.

3.) საპარლამენტო ასამბლეა ყველა წევრს მოუწოდებს მიიღონ ყოვლისმომცველი კანონმდებლობა მამხილებელთა შესახებ, რადგან მხილება ყოველთვის დაკავშირებულია გამბედაობასა და სიმტკიცესთან და მამხილებლებს, სულ ცოტა, ბრძოლის შანსი უნდა მიეცეთ, უზრუნველყოფილი იყოს მათ გაფრთხილებებზე რეაგირება და ისინი არ უნდა იმყოფებოდნენ საკუთარი და მათი ოჯახების საარსებო წყაროს დაკარგვის საშიშროების ქვეშ. საერთაშორისო საავტორო პალატის სახელმძღვანელო პრინციპები (პარიზი 2012) იგივე რეკომენდაციებს იძლევა და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მამხილებელთა ყველა ანგარიში უნდა იყოს გამოკვლეული და გადაგზავნილი კონფიდენციალურობის პრინციპის მკაცრი დაცვით.

4.) ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა ჯგუფმა კორუფციის წინააღმდეგ (GRECO) შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები: 2009 წელს საქართველომ შეიტანა ცვლილებები საჯარო სამსახურის შესახებ კანონში, რომლის თანახმად გამოძიების პროცესში მამხილებლის მიერ სამართალდარღვევის ან არაკანონიერი ქმედების, ან სხვა ქცევის „კეთილსინდისიერად“ გამჟღავნებამ, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურში დადგენილ ნორმებს, არ უნდა გამოიწვიოს მამხილებლების დისკრიმინაცია, დამცირება, დაშინება ან სამსახურიდან გათავისუფლება, ან დროებით უფლებამოსილების შეჩერება. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ მნიშვნელოვან ფაქტორზე: რას

ნიშნავს „კეთილსინდისიერება“ და რა შემთხვევაში ხორციელდება მამხილებლების, მათი ნათესავების და ა.შ. დაცვა. ამასთან, დაუშვებელია გამოძიების პროცესში დისციპლინური, სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის საქმის წარმოება. 2011 წელს GRECO-მ მთლიანობაში დადებითად შეაფასა აღნიშნული ცვლილებები.

5.) ევროკომისიის 2013 წლის „ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ გათვალისწინებით, საქართველომ შეიმუშავა „ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონში“ შესატანი ცვლილებების პროექტი. ამ ცვლილებებმა ჩაანაცვლა კანონის V1 თავი.

6.) 2013 წლის „მამხილებელთა დაცვის შესახებ ტექნიკურ დოკუმენტში“, რომელიც მომზადდა აღმოსავლეთ პარტნიორობა - ევროპის საბჭოს პროექტის - „ეფექტური მმართველობა და ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ“ ფარგლებში, მოცემულია ცვლილებებთან დაკავშირებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომლებიც გაზიარდა და დამტკიცდა 2014 წლის აპრილში. „ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით“ იგეგმება ძირეული რეფორმების განხორციელება, როგორც საჯარო სამსახურში, ასევე კორუფციასთან ბრძოლის სფეროში.

მოკლედ რომ შევჯამოთ, ევროპის მხრიდან საქართველოს მისამართით არსებობდა და კვლავ სახეზეა მთელი რიგი შენიშვნები, რომელთა ნაწილი უკვე გათვალისწინებულია, ხოლო ნაწილი საჭიროებს შემდგომ რეაგირებას, მათ შორისაა მამხილებლის ინსტიტუტიც, რომლის გარშემო დისკუსია კვლავ აქტიურად მიმდინარეობს.

ზემოხსენებული ევროპული რეგულაციების გარდა, კიდევ არსებობს რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტი. 1999 წელს ევროპის საბჭომ მიიღო „სამოქალაქო სამართლის კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ.“ კონვენციის მე-9 მუხლი გვამცნობს, რომ „... უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ თანამშრომლების სათანადო დაცვა გაუმართლებელი სანქციებისაგან, რომლებსაც აქვთ საკმარისი საფუძველი კორუფციაზე ეჭვმიტანისა და რომლებიც კეთილი ნებით მოახსენებენ მათ ეჭვს კომპეტენტურ პირებსა და უწყებებს.“

მსგავსი დებულება მოცემულია გაეროს კონვენციაში კორუფციის წინააღმდეგ (UNCAC). კონვენციის 33-ე მუხლის - „ინფორმაციის

მიმწოდებელ პირთა დაცვა” თანახმად: „თითოეული მონაწილე სახელმწიფო განიხილავს შესაძლებლობას თავის შიდა სამართლებრივ სისტემაში შეიტანოს სათანადო ღონისძიებები ნებისმიერი პირის დასაცავად, რომელიც კეთილსინდისიერად და გონივრულად აწვდის ინფორმაციას კომპეტენტურ ორგანოებს დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ, რომლებიც ასეთად ცნობილია ამ კონვენციის შესაბამისად“.

OECD-ის საბჭომ შეიმუშავა „რეკომენდაციები უცხო ქვეყნის საჯარო თანამდებობის პირთა მექრთამეობის წინააღმდეგ“, ხოლო დამატებით, დიდი ოცეულის ლიდერებმა, OECD-ის ანტიკორუფციულმა სამუშაო ჯგუფმა და OECD-ის გენერალურმა მდივანმა გამოსცეს „დიდი ოცეულის საუკეთესო პრაქტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები მამხილებელთა დაცვის შესახებ კანონმდებლობისათვის.“

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) შეიმუშავა მამხილებლის ინსტიტუტის სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი პრინციპები, რომლის გამოყენებაც წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ეროვნული კანონმდებლობის შექმნისას:

- მკაფიო კანონმდებლობა და ეფექტური ინსტიტუციონალური ჩარჩო უზრუნველყოფს იმ დასაქმებულთა დისკრიმინაციისგან დაცვას, რომლებიც ამხელენ სამართალდარღვევებს და კორუფციის ფაქტებს. ამისათვის მნიშვნელოვანია, შეიმუშავდეს შესაბამისი კანონმდებლობა, რათა განახორციელონ სამართლებრივი უზრუნველყოფა და სიცხადე და თავიდან აიცილონ მამხილებელთა დაცვისადმი ფრაგმენტული მიდგომა. ამასთან, უწყებებს უნდა მოეთხოვებოდეთ მხილების ფასილიტაციისთვის შესაბამისი ზომების გატარება.

- კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს მკაფიო განმარტებებს იმის შესახებ, თუ რა ტიპის მხილებების და კონკრეტულად, ვისი დაცვა ხდება კანონის მიხედვით. დაცული მხილება შეიძლება ეხებოდეს: კანონების, წესების და რეგულაციების დარღვევას, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, ფინანსების არამიმზობრივ ხარჯვას და ყველა იმ ქმედებას, რომელიც შიდა კანონმდებლობით განსაზღვრული დებულების დარღვევად მიიჩნევა. როგორც წესი, მამხილებელთა დაცვა არ ვრცელდება ისეთი სამართალდარღვევების გამჟღავნებაზე, რომლებიც

უკავშირდება ეროვნული თავდაცვის ინტერესებსა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებს. ასეთ შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს შესაბამისი კანონმდებლობა. მამხილებელთა დაცვა ვრცელდება ყველა საჯარო და კერძო სექტორის დასაქმებულზე, მათ შორის არა მხოლოდ მუდმივად დასაქმებულებზე, არამედ კონსულტანტებზე, კონტრაქტორებზე, დროებით დასაქმებულებზე, ყოფილ დასაქმებულებზე, მოხალისეებსა და ა.შ. უნდა მოხდეს ტერმინების - „კეთილსინდისიერება“ (good faith) და „საფუძვლიანი ეჭვი“ (reasonable belief) - ზუსტი განმარტება. მამხილებელი ყოველთვის დაცული უნდა იყოს მაშინ, როდესაც გამჟღავნებული ინფორმაცია ეფუძნება მის „საფუძვლიან ეჭვს“, თუნდაც ეს ინფორმაცია არ იყოს სწორი.

- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს მამხილებელთა დაცვის მექანიზმის სიძლიერე და სრულყოფილება. დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობა. მამხილებელი ასევე დაცული უნდა იყოს დისკრიმინაციისა და რეპრესიის ნებისმიერი ფორმისგან, მათ შორის სამსახურიდან გათავისუფლების, თანამდებობიდან გადაყენების ან ჩამოქვეითებისგან. ასევე, ნებისმიერი ფორმის ჩაგვრისა და მუქარისგან.

- კანონმდებლობამ ნათლად უნდა განსაზღვროს ის პროცედურები, რაც საჭიროა კორუფციული ქმედების მხილებისთვის, ამასთან ხელი შეუწყოს მამხილებელი არხების დაცულობას და ადვილად მისაწვდომობას. საჯარო სექტორში უნდა მოხდეს მხილების შიდა არხების ჩამოყალიბება და ამოქმედება. უნდა არსებობდეს სპეციფიური არხები და დამატებითი დაცვის მექანიზმები ეროვნულ უსაფრთხოებასა და სახელმწიფო საიდუმლოებებთან დაკავშირებული მხილებებისთვის. შესაძლებელი უნდა იყოს მხილების განხორციელება ისეთი გარე არხების საშუალებითაც, როგორცაა მედია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ა.შ. ასევე, უნდა შემუშავდეს წახალისების მექანიზმები მხილებისათვის, მაგალითად ფულადი ჯილდო.

- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ეფექტური დაცვის მექანიზმების არსებობა, მათ შორის ისეთი უწყებების გაძლიერება, რომელიც პასუხისმგებელია საჩივრების მიღებასა და განხილვაზე.

- მამხილებელთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის იმპლემენტაცია უნდა მოხდეს კომუნიკაციისა და ტრენინგების საშუალებით ცნობიერების ამაღლებით, ასევე საკანონმდებლო ჩარჩოს ეფექტურობის პერიოდული შეფასებებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მამხილებელთა დაცვის შესახებ წარმატებული საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებასა და შემდგომში ეფექტიანი იმპლემენტაციის პროცესში განმსაზღვრელ როლს ასრულებს კულტურული და პოლიტიკური ფაქტორი. ზოგიერთ საზოგადოებაში მხილება ნეგატიურ ქცევად აღიქმება, რაც თავისთავად ხელს უშლის მხილების ინსტიტუტის წარმატებულ ფუნქციონირებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, გატარდეს შესაბამისი ზომები, რათა საჯარო მოსამსახურეებს და ზოგადად მოქალაქეებს მიეწოდოთ სწორი ინფორმაცია მხილების ინსტიტუტის შესახებ. ამასთანავე, გარდა საზოგადოების დამოკიდებულებისა, აუცილებელია, ქვეყანაში არსებობდეს შესაბამისი პოლიტიკური ნება.

3.4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

კრიტიკოსები აცხადებენ, რომ ევროპაში ხშირად განიხილება მამხილებელთა საკითხები, თუმცა მხოლოდ ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა შეძლო ყოვლისმომცველი კანონმდებლობის მიღება, რომელიც იცავს საჯარო მოხელეებსა და სხვა თანამშრომლებს მხილების პროცესში. დანარჩენი სახელმწიფოების უმრავლესობამ, კი ვერ შეძლო კანონით მამხილებლების დაცვა, როდესაც ისინი იცავენ ეთიკის პრინციპებს და ამხელენ მანკიერ პრაქტიკას, რომლის მომსწრენიც თავად არიან. თუმცა, დღეს უკვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საჯარო მოსამსახურის გამოხატვის თავისუფლების საკითხს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში განიხილავს. როდესაც საჯარო მოსამსახურე იყენებს გამოხატვის თავისუფლებას, სასამართლო აფასებს ორი საჯარო ინტერესის ურთიერთმიმართებას: საზოგადოების ინტერესს მიიღოს ინფორმაცია საჯარო სამსახურში არსებული სამართალდარღვევის თაობაზე და სახელმწიფოს ინტერესს - საჯარო დაწესებულების ეფექტური ფუნქციონირების შესახებ.

სასამართლო ითვალისწინებს, რომ საჯარო მოსამსახურის, როგორც სახელმწიფოსთან სპეციფიკურ სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლები, უფრო ფართო და მკაცრი უნდა იყოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ იცავს პირის უფლებას საჯარო სამსახურის ხელმისაწვდომობაზე, თუმცა საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს ისარგებლოს კონვენციით გარანტირებული უფლებებით, მათ შორის გამოხატვის თავისუფლების უფლების დაცვით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი ვრცელდება საჯარო მოსამსახურის მიერ სამუშაო ადგილას განხორციელებულ გამოხატვის თავისუფლებაზე, რაც მოიცავს მის მიერ საჯარო სამსახურში არსებული სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას. სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო მოსამსახურეს ხელი მიუწვდება საჯარო სამსახურში დაცულ ინფორმაციაზე, რომლის მიმართ არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი და მიიჩნევს, რომ საჯარო ინტერესი განსაზღვრულ შემთხვევებში შესაძლებელია აღემატებოდეს საჯარო მოსამსახურის მიერ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას.

2011 წლის 21 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მამხილებელთა დაცვის სკითხთან დაკავშირებით: „ბრიდჯიტ ჰაინიჩი გერმანიის წინააღმდეგ“.

განმცხადებელი, ბრიდჯიტ ჰაინიჩი არის გერმანიის მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს ბერლინში. ის მუშაობდა გერიატრიული პაციენტების მედდად კომპანია V-ში, რომელიც სპეციალიზებული იყო ხანდაზმული პირების დახმარებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე. კომპანია V-ს უმეტესი წილის მფლობელი იყო ქალაქი ბერლინი. 2002 წლის იანვრიდან ბრიდჯიტ ჰაინიჩი მუშაობდა მოხუცთა თავშესაფარში, რომელსაც მართავდა აღნიშნული კომპანია. 2003 წლის იანვარი - 2004 წლის ოქტომბრის პერიოდში მან და მისმა კოლეგებმა არაერთგზის მიმართეს ხელმძღვანელობას სამსახურში ზედმეტად გადატვირთვის შესახებ, რაც განპირობებული იყო პერსონალის ნაკლებობით და რის გამოც მათ უძნელდებოდათ თავიანთ მოვალეობებთან გამკლავება და ვერ ახერხებდნენ მომსახურების სათანადოდ დოკუმენტირებას. 2003 წლის მაისის შემდგომ ქ-ნი ჰაინიჩი რამდენჯერმე ავად გახდა, ხოლო ერთ-ერთი სამედიცინო დასკვნის თანახმად, ეს გამოწვეული იყო პროფესიული სტრესითა და გადატვირთვით. სამედიცინო ზედამხედველობის საბჭომ ასევე აღმოაჩინა კომპანიაში ძირითადი რესურსების სერიოზული დეფიციტი, მათ შორის თანამშრომლების

არასაკმარისი რაოდენობა და პაციენტებზე არადაამაკმაყოფილებელი ზრუნვა. 2004 წლის ნოემბერში ქ-ნი ჰაინიჩის იურისტკონსულტანტმა წერილი გაუგზავნა კომპანიას, სადაც საუბრობდა, რომ პერსონალის ნაკლებობის გამო შეუძლებელია პაციენტების ჰიგიენის უზრუნველყოფა და ხელმძღვანელობას აღნიშნული საკითხების გადაჭრის თხოვნით მიმართა. კომპანიამ აღნიშნული ბრალდებები უგულვებელყო, რადგან ისინი მცდარად და შეუსაბამოდ მიიჩნია. ამის შემდგომ ქ-მა ჰაინიჩიმ, თავისი იურისტკონსულტანტის მეშვეობით, სისხლის სამართლის ბრალდება წაუყენა კომპანიას და ის თაღლითობაში დაადანაშაულა: „კომპანიამ შეგნებულად არ უზრუნველყო მაღალი ხარისხის ზრუნვა, რის დაპირებებსაც ის იძლეოდა მის განცხადებებში და შესაბამისად პაციენტებს არ აწვდის ფასის შესაბამის მომსახურებას და რისკის ქვეშ აყენებს მათ“.

2005 წლის იანვარში, პროკურორმა შეწყვიტა წინასწარი გამოძიება, რომელსაც ის აწარმოებდა კომპანიის მიმართ. ამის შემდგომ, 2005 წლის იანვარში, ქ-ნი ჰაინიჩი 2005 წლის 31 მარტიდან გაათავისუფლეს სამსახურიდან განმეორებითი ავადმყოფობის საფუძველზე. ქ-მა ჰაინიჩიმ თავის მეგობრებთან ერთად და პროფკავშირის დახმარებით გამოსცა ბროშურა, სადაც დაგმოიბილი იყო მისი სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტი, რადგან ეს იყო სუბიექტური დისციპლინური სახდელი, იმის საპასუხოდ, რომ მან სისხლის სამართლის ბრალდება წაუყენა კომპანიას. ქ-მა ჰაინიჩიმ გაასაჩივრა მისი სამსახურიდან გაშვება პირველი ინსტანციის სასამართლოში და 2005 წლის აგვისტოში სასამართლომ უსაფუძვლოდ სცნო მისი სამსახურიდან გათავისუფლება, ხოლო ბროშურის გამოშვება გამოხატვის თავისუფლების უფლების გამოყენებად იქნა მიჩნეული. 2006 წლის მარტში სააპელაციო სასამართლომ გააუქმა სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან სამსახურიდან გათავისუფლება კანონიერად, ხოლო სისხლის სამართლის ბრალდება გათავისუფლების „საფუძვლიან მიზეზად“ მიიჩნია. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ, ხოლო 2006 წელს ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა გადაწყვეტილების არაკონსტიტუციურობის მოთხოვნა. საბოლოოდ, ქ-მა ჰაინიჩიმ, მისი სამსახურიდან გათავისუფლება და სასამართლოს უარი სამსახურში აღდგენაზე ადამიანის უფლებათა ევროპულ

სასამართლოში გაასაჩივრა და აპელირებდა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების დარღვევაზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

ევროპული მართლმსაჯულების ფარგლებში მამხილებელთა პირველი საქმის განხილვისას მნიშვნელოვანია ყურადღება ორ გარემოებაზე გავამახვილოთ: 1) მამხილებელმა მედდამ მხოლოდ 5 წლის შემდეგ შეძლო ეპოვნა სამართალი; 2) მხოლოდ ყველაზე დაბალი (I ინსტანციის შრომის დავების განმხილველი სასამართლო) და ყველაზე მაღალი (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო) ინსტანციების სასამართლოებმა უზრუნველყვეს მამხილებლების უფლებების დაცვა.

პრეცედენტული გადაწყვეტილების რამდენიმე საკითხზე უნდა გამახვილდეს ყურადღება ჩვენი თემატიკიდან გამომდინარე, როდესაც განვიხილავთ კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევას:

1. მხარეებს შორის დავის საგანს არ წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ქ-ნი ჰაინიჩის მიერ წამოყენებული სისხლის სამართლის ბრალდება მიჩნეულიყო მხილების განხორციელებად, რომელიც გულისხმობს საწარმოებში, კომპანიებსა და ადმინისტრაციულ დაწესებულებებში (მოცემულ შემთხვევაში უდიდესი წილი სახელმწიფოს მფლობელობაშია) არსებული ხარვეზების გამჟღავნებას თანამშრომლის ან საჯარო მოხელის მიერ, რაც მე-10 მუხლის რეგულირების ფარგლებშია მოქცეული.

2. სასამართლომ გაიზიარა ადმინისტრაციის გადაწყვეტილება, რომ სამოქალაქო კოდექსის თანახმად შესაძლებელია შრომითი კონტრაქტის შეწყვეტა „საფუძვლიანი მიზეზის“ არსებობის დროს. სისხლის სამართლის ბრალდებამ შეიძლება გაამართლოს სამსახურიდან დათხოვნა, რაც განპირობებული იყო გარემოებით, რომ კანონიერი გზით მომხდარიყო კომპანიის ბიზნეს ინტერესების დაცვა. ბოლოს უნდა განსაზღვრულიყო, თუ რამდენად ჰქონდა ადგილი ადგილობრივი სასამართლოების მიერ სამართლიანი ბალანსის დაცვას ამ ინტერესებსა და მე-10 მუხლით განსაზღვრულ გამოხატვის თავისუფლებას შორის.

3. სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ-ნი ჰაინიჩის მიერ გამჟღავნებული ინფორმაცია, პაციენტთა მოვლის თვალსაზრისით არსებული ნაკლოვანებების შესახებ, უდავოდ წარმოადგენს საჯარო ინტერესს. აქ საქმე ეხებოდა შემთხვევას, როდესაც სუსტ და მოწყვლად პაციენტებს

არ შეეძლოთ საკუთარი ინიციატივით ნაკლოვანებების შესახებ პრეტენზიების გაცხადება.

4. სასამართლოს არ ჰქონდა მიზეზი, ეჭვი შეეტანა ქ-ნი ჰაინიჩის კეთილსინდისიერებაში და გაეთვალისწინებინა ადმინისტრაციის არგუმენტი იმის შესახებ, რომ ქ-ნი ჰაინიჩის პრეტენზიები ზედმეტი და არარეალისტური იყო.

5. ქ-ნი ჰაინიჩის ბრალდებები ცალსახად ზიანის მომტანი იყო კომპანიის რეპუტაციისა და კომერციული ინტერესებისათვის. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ საჯარო ინტერესი მისი ინფორმირებულობის კუთხით ისეთ საკითხებზე, როგორცაა სახელმწიფო კომპანიის მიერ ხანდაზმული ადამიანების სტაციონარულ პირობებში მოვლის ჩარჩოს ნაკლოვანებები, გაცილებით მნიშვნელოვანია დემოკრატიულ სახელმწიფოში, ვიდრე ბიზნეს ინტერესებისა და რეპუტაციის დაცვა.

6. და ბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ სამსახურიდან გათავისუფლება წინასწარი გაფრთხილების გარეშე იყო შრომითი კანონმდებლობით განსაზღვრული ყველაზე მძიმე სანქცია. აღნიშნულმა ფაქტმა უარყოფითი შედეგები მოუტანა მის კარიერას, მაგრამ ამასთან შესაძლოა, დაშინების ეფექტი ჰქონოდა კომპანიის სხვა თანამშრომლებზე, რაც გამოიწვევდა მათი მხრიდან თავის შეკავებას ნებისმიერი სახის ინფორმაციის გამჟღავნებისგან, რომელიც უკავშირდებოდა სტაციონარულ პირობებში მოვლის ნაკლოვანებებს. ვინაიდან საკითხი ფართოდ გაშუქდა მედიის საშუალებებით, ქ-ნი ჰაინიჩის წინაღმდეგ გამოყენებულ სანქციას შესაძლოა უარყოფითი და შიშისმომგვრელი ეფექტი მოეხდინა საექთნო სფეროს სხვა მუშაკებზე. ქ-ნი ჰაინიჩის გათავისუფლება წარმოადგენდა არაპროპორციულ, უმკაცრეს სანქციას. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრული პირობების დარღვევას. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გერმანიის მთავრობას გადაეხადა 10.000 ევრო არამატერიალური ზარალის, ხოლო 5.000 ევრო მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად.

რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილებას დიდი ზეგავლენა ექნება (და უკვე აქვს) მამხილებლების შესახებ სამომავლო დისკუსიის პროცესზე. ტერმინი მამხილებელი პირველად იყო გამოყენებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების ტექსტში.

4. მხილვასთან დაკავშირებული საფრთხეები და მათთან გამკლავების გზები

საჯარო მოსამსახურე, რომელიც დააპირებს სამართალდარღვევის მხილვას, შესაძლოა გარკვეულ წინაღობებს წააწყდეს. ის შეიძლება გაეხას რამდენიმე კლასიკურ მახეში. მამხილებლის ქმედებას განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პატიოსნება, ადამიანური კეთილდღეობა და ანგარიშვალდებულება. მათ სურთ წინ აღუდგნენ დისკრიმინაციას, კორუფციას, ბიუჯეტის სახსრების გაფლანგვას, ექსპლუატაციას, არაეფექტურ ადმინისტრირებას, ნეპოტიზმს, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევას და ა.შ. მიუხედავად ამისა, კეთილი ნება და საუკეთესო განზრახვა საკმარისი არ არის მხილვების წარმატებით განხორციელებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ დასაწყისშივე გამოგვრჩა ზოგიერთი ფაქტორი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მამხილებელს ჰქონდეს ინფორმაცია მხილვასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ და რაც მთავარია, იცოდეს მათთან გამკლავების გზები.

საფრთხე N1

მამხილებლისთვის ერთ-ერთი ტიპური საფრთხეა ადამიანების მიმართ ზედმეტი ნდობა

სამწუხაროდ, არაერთმა მამხილებელმა აღიარა მოგვიანებით, რომ იყო გულუბრყვილო და ენდო ხელმძღვანელის დაპირებას შესაბამისი დარღვევების აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

მათ ჰქონდათ ნდობა კოლეგებისა და თანამშრომლების, ადმინისტრაციისა და სასამართლოს მიმართ, რომ სწორედ ისინი აღადგენდნენ სამართლიანობას, თუმცა თავად გახდნენ დევნის, პირადი ანგარიშსწორებისა და შურისძიების ობიექტები. ისინი არ ელოდნენ, რომ მათი გულუბრყვილობის გამო ყველა ძალისხმევა ფუჭი აღმოჩნდებოდა.

ნდობამ შესაძლოა გაამართლოს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირად ასე არ ხდება. ცხოვრებაში ამას ბევრი ფაქტორი განაპირობებს. თანამშრომლებმა შესაძლოა იფიქრონ, რომ ხელმძღვანელები

ხედავენ პრობლემას, მაგრამ სუბიექტური მიზეზების გამო არ ახდენენ მასზე რეაგირებას. შესაბამისად, თუ ვინმე შეეცდება ამ პრობლემაზე ყურადღების გამახვილებას, ასეთი პირის მიმართ განხორციელდება ანგარიშსწორება და დევნა. აღნიშნულს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მთელ რიგ შემთხვევებში.

საფრთხე N2

კიდევ ერთი საფრთხე: მამხილებლის არასწორი მიდგომა

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ადამიანი ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას, მიდგომა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გადაწყვეტილების უფლების მქონე უწყებას ან/და ადამიანებს სათანადოდ მივაწოდოთ ჩვენი გზავნილი. ბუნებრივია, რომ სერიოზული და საღად მოაზროვნე მეცნიერი ან აკადემიკოსი უფრო დამაჯერებელია, ვიდრე მოუწესრიგებელი ჰიპი, თუმცა სინამდვილეში შეიძლება პირიქით იყოს. უნდა გვახსოვდეს, რომ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც სურთ გაამჟღავნონ კორუფცია და ყურადღება გამახვილდეს ისეთ სენსიტიურ პრობლემებზე, როგორცაა საზოგადოებრივი ჯანდაცვის რისკები, ხშირად აყენებენ შეურაცხყოფას.

ასევე გასაკვირი არ არის, როდესაც მოქალაქეები ზედმეტად შეპყრობილები არიან „თავისი“ საკითხით. ასეთ დროს ისინი ფიქრობენ, რომ სხვა ყველაც ისევე გათვიცნობიერებულია საკითხში, როგორც თვითონ და ავიწყდებათ, რომ სხვებმა შეიძლება არაფერი იცოდნენ აღნიშნულის თაობაზე. შესაბამისად, ისინი გადადიან უშუალოდ საკითხის განხილვაზე და არ საუბრობენ მის პრეისტორიაზე.

არსებობს შემთხვევა, როდესაც მოქალაქეს მიაჩნდა, რომ ძალიან ბევრ თანხას კარგავდა და გაუმართლებლად იხდიდა ფულს კონკრეტულ მოსაკრებლებში, მაგალითად, აბსოლუტურად ჩვეულებრივ სამშენებლო ნებართვებში. შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ შეისწავლა საქმე და მივიდა დასკვნამდე, რომ აღნიშნული თანხის გადახდა გამართლებული იყო.

საფრთხე N3

მამხილებელი უნდა დაელოდოს ხელსაყრელ გარემოებას და შესაძლებლობას

იშვიათი არაა შემთხვევა, როდესაც მამხილებელს შედგენილი აქვს კარგი დოკუმენტი, მაგრამ ის ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს, ვინაიდან მისი შემუშავება, დაბეჭდვა თუ წარდგენა არასწორ დროს მოხდა, გაიგზავნა არასწორ რესპონდენტთან ან არასასურველ გარემოებებში. გულუბრყვილო განცხადება იქნება, თუ ვიტყვით, რომ სიმართლე თავისთავად არის უკვე ღირებულება და მნიშვნელობა არ აქვს, როგორ ვისაუბრებთ საკითხზე და როგორ მივიტანთ მას ადრესატამდე. მამხილებლისთვის ეს უდიდესი შეცდომაა!

იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეგროვებული გაქვთ საკმარისი სამხილი, შესაძლოა საჭირო გახდეს, მოიცადოთ დღეები ან კვირები, ან თუნდაც თვეები, იმისათვის, რომ ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი დადგეს თქვენი პრობლემის გასამჟღავნებლად. არაერთი მოქალაქე, იმის ნაცვლად, რომ იდეალურ მომენტს დაელოდოს, მაშინვე მიმართავს უწყების ხელმძღვანელს, როგორც კი საკითხს მოამბადებს. შესაბამისი დროის შერჩევა აუცილებელია, გარდა გადაუდებელ აუცილებლობას მიკუთვნებული სიტუაციისა.

საფრთხე N4

მამხილებელმა უნდა შეაგროვოს საკმარისი სამხილი

დდიდი უპირატესობაა, როდესაც შეგიძლია, ისაუბრო და განმარტო საკითხები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მოვლენათა განვითარება და ის სიტუაციები, რომლებსაც დააკვირდი, შეიძლება სხვადასხვანაირად იყოს გაგებული. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მამხილებელმა შეაგროვოს სამხილები, რათა დაადასტუროს ან დაამტკიცოს თავისი სიმართლე. არსებობს მარტივი და დამაჯერებელი უარის მიღების რისკი მტკიცებულებების გარეშე ბრალდებების წარმოდგენისას. ამასთან, საკმარისი მტკიცებულებების ქონის შემთხვევაშიც არის ეჭვის შეტანის ალბათობა. მოკლედ რომ შევაჯამოთ, აუცილებელია მყარი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც ეჭვს არ ბადებს და არ იწვევს დამატებით ვარაუდებს.

საფრთხე N5

არ დაგავიწყდეთ მხარდაჭერის მოპოვება

იმიისათვის, რომ არსებობდეს წარმატების დიდი შანსი, აუცილებელია მხარდამჭერების არსებობა. ეს არც თუ ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, რადგან მამხილებელს უდიდესი მოთმინების გამოჩენა მართებს. კოლეგები, რომლებიც სპონტანურად თქვენს მხარეს აღმოჩნდებიან, თქვენს მოსაზრებას გაიზიარებენ და თავიდან მხარს დაუჭერენ ბრალდებას, მოგვიანებით შეიძლება გაუჩინარდნენ და აღარც შეგეხმიანონ. ამიტომ, უნდა განსაზღვროთ, თუ ვის მხარეზე არიან თქვენი კოლეგები და თანამშრომლები, ხოლო შემდეგ უნდა მოახდინოთ მათი მოტივირება და მობილიზება, თუ რა თქმა უნდა, გრძობთ მათი მხრიდან თქვენდამი კეთილგანწყობას. გარდა ამისა, თქვენ უნდა დაარწმუნოთ მეტნაკლებად ნეიტრალურად განწყობილი ადამიანები და ბოლოს, შეეცადოთ იმ ადამიანების ღია თუ დაფარული მტრული განწყობის შესუსტებას, რომლებიც არ ეთანხმებიან ან მეტიც, ეწინააღმდეგებიან თქვენს ბრალდებას. მოკლედ რომ შევაჯამოთ, საკმარისი არ არის იყო კეთილსინდისიერი, მართალი და მოქმედებდე საჯარო ინტერესებისათვის, ასევე აუცილებელია გყავდეს მხარდამჭერები.

საფრთხე N6

ნაკლები ინფორმირებულება

მამხილებლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა ერთ-ერთი საფრთხეა, რომელშიც ის შეიძლება აღმოჩნდეს. მამხილებელს, რომელმაც გაიღო საკუთარი დროის დიდი რესურსი - ფული, პირადი მოტივაცია - იმიისათვის, რომ სამართალს ებეიმა, ძალიან უძნელდება და ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებს ამ პროცესზე ფიქრის შეწყვეტას და ვერ უბრუნდება „ნორმალურ ცხოვრებას.“ დიდ იმედგაცრუებას კი აწყდება მაშინ, როდესაც ნათელი ხდება, რომ წარმატების შანსი ძალიან მცირეა. ამ დროს მამხილებელი აცნობიერებს, რომ ვერც მისი ოჯახი და ვერც

მეგობრები ამ რისკიან გზას ვერ გაუყვებიან და ის მარტო რჩება თავის ფიქრებთან. ზოგჯერ, ის ადამიანები, რომლებიც სამართლიანობის, სიმართლისა და კეთილსინდისიერების განუხრელი დამცველები არიან, სხვა ადამიანების მხრიდან ისმენენ შენიშვნებს, რომ ისინი ფუჭად ხარჯავენ ცხოვრებას. ყველა ასეთ ადამიანს და მომავალ მამხილებელს სკეპტიკური შენიშვნებისთვის რომ მოესმინა, მაშინ არავინ არასდროს დაიწყებდა შესაბამის მოქმედებას. აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ნაკლებადაა მოქმედებისა თუ უმოქმედობის საკითხი, გაცილებით მნიშვნელოვანია მოქმედების რომელ გზას ვირჩევთ.

დაუშვებელია მოქალაქეების კრიტიკა ან დადანაშაულება რომელიმე ზემოხსენებულმახეშიგაბმისშემთხვევაში. ასევე დაუშვებელია რომელიმე მოქალაქის ზემოთ ხსენებული მაგალითების საფუძველზე მოტივირება ან დაბრკოლება. მხილების განხორციელება რთული და სახიფათო პროცესია და ის მოქალაქეებიც კი, ვისაც ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ, აწყდებიან სირთულეებს, როდესაც უპირისპირდებიან სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ სისტემებს.

რატომ არ უნდა ენდონ ისინი ადამიანებს, ვისთან ერთადაც მუშაობდნენ დიდი ხნის მანძილზე? როგორ შევიძინოთ სამხილების შეგროვების უნარ-ჩვევები? როგორ უნდა გავიგოთ შესაფერისი მომენტის დადგომა? როგორ გაიგონ მათ, როდის არის გონივრული განსჯის დრო? სამართლიანობის სხვა მაძიებლებისგან სწავლა, ეგრედ წოდებული ცნობიერების ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების გზით, შესაძლოა პროდუქტიული აღმოჩნდეს სხვა უფრო ეფექტური და წარმატებული გზის იდენტიფიცირებისა და გამოყენების თვალსაზრისით.

5. მხილება თუ ინფორმაციის გაჟონვა?

ვინაიდან ნაშრომი ეძღვნება მამხილებელთა საკითხებს, ამიტომ მასში გარკვეულწილად განხილული უნდა იყოს ინფორმაციის გაჟონვის (Leaking) ფენომენი, როგორც პროცედურა, რომელიც მიმართულია საჯარო სამსახურში შესაძლო სამართალდარღვევებზე რეაგირებისკენ. საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე ინფორმაციის გაჟონვა, რასაც „ვიკილიქსმა“ (WikiLeaks) უწოდა „პრინციპულად ინფორმაციის გამჟღავნება“, ძალიან ჰგავს მხილების განხორციელებას, იმ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით, რომ პირს, რომელიც ამჟღავნებს საიდუმლო ინფორმაციას, სურს შეინარჩუნოს ანონიმურობა. ამიტომაც, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებელი პირი ხშირად მიიჩნევა არაკეთილსინდისიერ, არაგულწრფელ ადამიანად. დღეს ეს შეხედულება მნიშვნელოვნად შეიცვალა. განსხვავება ინფორმაციის გაჟონვასა და მხილებას შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველის შემთხვევაში, პრობლემების გამჟღავნებისა და გასაჯაროების დროს, ავტორი ანონიმურობას ინარჩუნებს მაშინ, როდესაც ძალიან ბევრი მამხილებელი, თუ არა მათი უმრავლესობა, არის ღია და ამჟღავნებს თავის ვინაობას და ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სახის სამართალდარღვევას ამხელს. ისინი თავიანთ პრეტენზიას პირდაპირ წარუდგენენ ხოლმე ხელმძღვანელ პირებს, უკავშირდებიან მედიას ან სხვა შესაბამის უწყებებს. ამ პროცესში კი საკმაოდ დიდ რისკზეც მიდიან, რადგან შესაძლებელია დევნის ობიექტებად იქცნენ.

რა თქმა უნდა, სამართალდარღვევების მამხილებელ კარგად ნაცნობ ალტერნატიულ პროცედურას, რომლის დროსაც პიროვნების ვინაობა უცნობი რჩება, გარკვეული უპირატესობები აქვს. უცნობად დარჩენილი პიროვნება თავიდან იცილებს ან ამცირებს დევნისა და პირადი ანგარიშსწორების რისკებს. ამასთან, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებელ პირს საშუალება აქვს, დარჩეს სამსახურში და განაგრძოს მამხილების ძებნა დოკუმენტებისა და სხვა ინფორმაციის სახით, რაც მას გადაცდომის დამტკიცებაში დაეხმარება.

მეორე მხრივ, მაშინაც კი, თუ შეინარჩუნებს ანონიმურობას, მისმა უფროსმა, კოლეგებმა და თანამშრომლებმა შეიძლება იცოდნენ ან მიაჩნდეთ, ან კიდევ ეჭვი ჰქონდეთ მასზე, ვინც გაამჟღავნა შიდა ინფორმაცია, მაგრამ დარწმუნებულები არ იყვნენ.

რა არის ინფორმაციის გაჟონვა? ინფორმაციის გაჟონვა არის ინფორმაციის არასანქცირებული გამჟღავნება, რომლის დროსაც გამჟღავნებელი პირის ვინაობა ცნობილი არ არის კონკრეტული უწყებებისთვის ან უფრო ფართო საზოგადოებისათვის. გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოება ინფორმაციის გაჟონვას ნაკლებად კეთილსინდისიერად და ამორალურად მიიჩნევს, ვიდრე მხილებას, თუმცა ზოგიერთი იურიდიული დოკუმენტი და აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობა არ განასხვავებს მამხილებელს საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებელი პირისგან.

მიუხედავად ამისა, ინფორმაციის გაჟონვა მოითხოვს კიდევ უფრო მეტ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს: მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორ არ გავამჟღავნოთ ვინაობა და შევინარჩუნოთ ანონიმურობა, როგორ შევარჩიოთ სწორი მისამართი, ადრესატი და ინფორმაციის მიწოდების ყველაზე უსაფრთხო გზა.

გარდა ამისა, ინფორმაციის გაჟონვის გამოყენება სხვა მიზნებისთვისაც არის შესაძლებელი. ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ პოლიტიკოსებისა და მთავრობის მაღალჩინოსნების (მათ შორის მინისტრების) მიერ ხშირად ხდება ინფორმაციის გაჟონვა მედიაში, განსაკუთრებით კი მათთან დაახლოებულ ჟურნალისტებთან, პოლიტიკურ საკითხებზე ზემოქმედების ან თუნდაც პირადი ინტერესების დაცვის მიზნით. ინფორმაციის გაჟონვის ზოგიერთი შემთხვევა უბრალოდ მიზნად ისახავს სხვა პიროვნების ან დაწესებულებისათვის ზარალის ან ზიანის მიყენებას. ვინაიდან ეს ხშირად არ წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს, შესაბამისად, არ იქცევა ხოლმე მხილების საგნად. რა თქმა უნდა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე განხორციელებულ ინფორმაციის გაჟონვის არაერთ ფაქტს, რომლის მიზანია საჯარო თუ კერძო სექტორში არსებულ სამართალდარღვევებზე საზოგადოების რეაგირების სტიმულირება.

ყველაფრის მიუხედავად, არსებობს ინფორმაციის გაჟონვის შემდეგი უპირატესობები: დევნისა და პირადი ანგარიშსწორების საფრთხე ისე მაღალი არ არის, როგორც ეს მხილების დროს, როდესაც მამხილებლის ვინაობა, უმეტეს შემთხვევაში, ცნობილია ან გახდება ცნობილი. ინფორმაციის გაჟონვა მნიშვნელოვნად ამცირებს დევნის რისკს. შესაბამისად, იზრდება გამჟღავნებული ინფორმაციით მიღებული სარგებელი.

როგორც უკვე აღინიშნა, ინფორმაციის გაჟონვის უპირატესობას განაპირობებს შემდეგი ორი გარემოება: მამხილებელი ინარჩუნებს თანამდებობას და შეუძლია უფრო მეტი ინფორმაციის შეგროვება და საჭიროების შემთხვევაში - მისი გამჟღავნება. ჩვეულებრივი მამხილებლის რანგში მას აქვს მხილების მხოლოდ ერთი შანსი.

ანონიმური მამხილებლის რანგში არსებობს პრობლემის მხილებისა და გასაჯაროების რამდენიმე შესაძლებლობა. ერთ-ერთი ფუნდამენტური განსხვავება ინფორმაციის გაჟონვასა და მხილებას შორის არის ის, რომ პირველის შემთხვევაში ძირითადი ყურადღება მიპყრობილია ფაქტებზე და არა იმ ადამიანზე, ვინც გაამჟღავნა იგი.

არსებობს მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნებელმა პირმა გაასაჯაროვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის საიდუმლოც და რამდენიმე წლის შემდეგ ცნობილი გახდა მისი ვინაობა. მაგალითად, დანიელ ელსბერგმა 1971 წელს გაავრცელა ცნობილი „პენტაგონის დოკუმენტები“, რომელიც წარმოადგენდა ვიეტნამის ომის დროს ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილებების მიღების წესების კონფიდენციალურ კვლევას. აქვე უნდა აღინიშნოს „ვოტერგეიტის სკანდალი“, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნებელმა ანონიმურმა პირმა (რომლის ვინაობაც მრავალი წლის შემდეგ გახდა ცნობილი, როგორც “Deep Throat”-ი) Washington Post-ის ორ ჟურნალისტს მიაწოდა ინფორმაცია, რომელსაც პრეზიდენტ ნიქსონის მიერ მისი თანამდებობის დატოვება მოჰყვა. ხშირ შემთხვევაში, ინფორმაციის გამჟღავნებელი პირი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც მოლაღატედ, ასევე - გმირად.

გამონაკლის შემთხვევებში, ინფორმაციის გამმჟღავნებელი პირი შეიძლება უშუალოდ დაეკონტაქტოს გამხელილი ინფორმაციის ადრესატს, განსაკუთრებით კი - ჟურნალისტს, რომელსაც სურს მეტი რამ შეიტყოს. „ვოტერგეიტის“ შემთხვევაში, WashingtonPost-ის ჟურნალისტები ბოლოს გავიდნენ ინფორმაციის გამმჟღავნებელ პირთან კონტაქტზე.

აუცილებელია, განვიხილოთ საფრთხეები, რომელიც ინფორმაციის გამმჟღავნებელ პირს ემუქრება. მაღალი რისკის პირობებში, მაგალითად, როდესაც საქმე გვაქვს ორგანიზებულ დანაშაულთან ან რაიმე სახის პოლიტიკურ, თუ სამხედრო ხასიათის შემთხვევებთან, ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი პირის მიერ, რომელიც ინფორმაციის გამმჟღავნებლად იქნება მიჩნეული. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ასეთ შემთხვევებში უფრო მეტად დაცულია გამმჟღავნებელი საკუთარი ვინაობის გამხელისას, რადგან, თუ ადგილი ექნება ანგარიშსწორების (მათ შორის სიცოცხლის ხელყოფის) მცდელობას, მთელი საზოგადოება შეიტყობს, ვინ და რატომ არის აღნიშნულზე პასუხისმგებელი.

ყველაზე შესაფერისი ადრესატები არიან ე.წ აქტივისტთა ჯგუფები, როგორცაა გარემოს დამცველთა ჯგუფები, ანტიკორუფციული ჯგუფები, პოლიტიკური პარტიები და კერძო სექტორის პროფკავშირები. გამოცდილება ცხადყოფს, რომ სჯობს ინფორმაციის მიწოდება აქტივისტთა ჯგუფებისათვის, ვიდრე ჟურნალისტებისათვის. როგორც წესი, ჯგუფს უფრო სერიოზული და კონკრეტული ინტერესი აქვს საკითხისადმი და მაქსიმალურად გამოიყენებს საკუთარ ძალისხმევასა და დროს. ჟურნალისტისათვის ეს შეიძლება იყოს ერთჯერადი ისტორია, შემდგომი განვითარების გარეშე.

ინფორმაციის გაჟონვასთან დაკავშირებული ყველა სახის სკეპტიციზმის საპასუხოდ შემდეგი სახის კომბინაცია იქნება ყველაზე წარმატებული: საკითხით შეშფოთებული ინფორმაციის გამმჟღავნებელი პირი და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, მოტივირებული აქტივისტთა ჯგუფები. ასეთი კომბინაციის პირობებში

შესაძლოა ჩამოყალიბდეს ძალიან გავლენიანი ერთობა. მათ შეეძლებათ ერთმანეთისთვის რჩევის მიცემა და ერთმანეთის დახმარება.

ბოლოს, უნდა ვახსენოთ ვიკილიქსი და მსგავსი დაწესებულებები, რომლებიც ბოლო ათწლეულის მანძილზე ჩამოყალიბდა. ვიკილიქსი იყო პირველი ონლაინ სისტემა, რომელიც შეიქმნა ინფორმაციის გამმულავნებელი პირებისათვის. ეს დაახლოებით გვაგონებს ინფორმაციის ჟურნალისტიკის გამმულავნებას. ისინი თავად წყვეტენ, ჩაიბარებენ თუ არა ინფორმაციას და რამდენად ღირებული იქნება მისი გამოქვეყნება.

ვიკილიქსს გააჩნია როგორც უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებები.

დადებითი მხარე ისაა, რომ მასალებისა და დოკუმენტის ატვირთვა ონლაინ რეჟიმშია შესაძლებელი. აგრეთვე, ის უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით. ვიკილიქსის გუნდის წევრების უმრავლესობა ცნობილია საზოგადოებისათვის.

ერთ-ერთი ნაკლოვანება კი მდგომარეობს იმაში, რომ არ არის საქმეების განხილვის საშუალება, როგორც ამას ადგილი აქვს ჟურნალისტსა და ინფორმაციის გამმულავნებელს შორის.

6. ტენერის გამკვეთი

მამხილებლის დაცვის საკანონმდებლო მოწესრიგება საქართველოში

► მეთოდური მითითება

თემის განხილვის დაწყებამდე ჯგუფში უნდა დაისვას შეკითხვა, თუ რომელი საკანონმდებლო აქტი აწესრიგებს მამხილებლის დაცვის საკითხს საქართველოში. არის, თუ არა ჯგუფისთვის ცნობილი, რომელი წლიდანაა ეროვნულ კანონმდებლობაში ეს ინსტიტუტი და როდის შევიდა კანონში ბოლო ცვლილება.

საკონტროლო შეკითხვა

საქართველოში მამხილებლის დაცვას აწესრიგებს:

ა. საჯარო სამსახურის შესახებ კანონი

ბ. საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონი

გ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი

დ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

კანონის მოწესრიგების სფერო

საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ (თავი VI. მამხილებლის დაცვა) აწესრიგებს მამხილებლის დაცვის საკითხებს. აღნიშნული კანონის მოწესრიგების სფეროს განსაზღვრისათვის ჯგუფში უნდა განიხილონ კანონში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა.

მხილების ცნება შეიცავს ლეგალური დეფინიციის მნიშვნელოვან ელემენტებს:

ა) ვის მიერ ხდება მხილება? ბ) ვის წინაშე ვამხელთ?

გ) რის შესახებ არის მხილება შესაძლებელი?

განვიხილოთ თითოეული საკითხი:

ა) მამხილებელი - საჯარო მოსამსახურე ან ყოფილი საჯარო მოსამსახურე.

რა არის კანონის მიზანი? შესაძლებელია ამ ნორმის ორი მიზნით წაკითხვა: პირველი, საჯარო მოსამსახურე, რომელმაც ამხილა, წარმოების პერიოდში შესაძლებელია გახდეს ყოფილი მოსამსახურე, თუმცა, კანონის მოქმედება მასზე ვრცელდება მიუხედავად იმისა, რომ იგი აღარ არის საჯარო მოსამსახურე. ყოფილი მოსამსახურე შესაძლებელია ფლობდეს მნიშვნელოვან ინფორმაციას და კანონი მასაც აძლევს შესაძლებლობას, გახდეს მამხილებელი.

მამხილებლის ცნების განსაზღვრის ძირითადი მიზანია უფლების დაცვის უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით, კანონი ასევე იყენებს მნიშვნელოვან ცნებას - „მამხილებლის ახლო ნათესავი“, რომელიც აერთიანებს სუბიექტებს, რომლებიც არ არიან მამხილებლები, მაგრამ შესაძლებელია მხილებამ მათზე მოახდინოს უარყოფითი შედეგი. ესენი არიან: მამხილებლის მეუღლე (მათ შორის - განქორწინებული), შვილი, შვილობილი, გერი, მშობელი, შვილად ამყვანი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა და მამხილებელთან მუდმივად მცხოვრები პირი. ეს პირებიც ისევე სარგებლობენ საკანონმდებლო გარანტიებით, როგორც მამხილებელი.

ბ) იმის გასარკვევად, თუ ვის წინაშე ხდება მხილება საკანონმდებლო მოწესრიგების თანახმად, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ შიდა და გარე მხილება.

შიდა მხილება: საჯარო მოსამსახურის ან ყოფილი საჯარო მოსამსახურის (მამხილებლის) მიერ განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან/და საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმირება. კანონი არ ადგენს გარკვეულ თანმიმდევრობას, თუმცა მხილების შინაარსის შესაბამისად უნდა მოხდეს სუბიექტის შერჩევა.

გარე მხილება: სამოქალაქო საზოგადოების ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება.

კანონი უშვებს მხილებას სამოქალაქო საზოგადოების ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირების გზით, თუმცა განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 თვის შემდეგ.

▶ მეთოდური მითითება

შესაძლებელია ჯგუფური დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ნორმის მიზანი, რატომ შეზღუდა კანონმდებელმა მამხილებლის უფლება და რატომ დაუშვა ის გადაწყვეტილების მიღებიდან 2 თვის შემდეგ.

კანონი ასევე განმარტავს საჩივრის განმხილველი ორგანოს ცნებას და აერთიანებს საჯარო დაწესებულების შიდა კონტროლის, აუდიტის ან სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს.

კანონში, საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპის შესაბამისად, გაზიარებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი საჩივრის განხილვის წესი, რომლის თანახმად, თუ მხილების განცხადება მიმართულია საჯარო დაწესებულების შიდა კონტროლის, აუდიტის ან სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლის წინააღმდეგ, მამხილებელს უფლება აქვს, მხილების განცხადებით მიმართოს ამ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს. თუ მხილების განცხადება მიმართულია საჯარო დაწესებულების შიდა კონტროლის, აუდიტის ან სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის წინააღმდეგ, მამხილებელს უფლება აქვს, მხილების განცხადებით მიმართოს ამ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს. თუ მხილების განცხადება მიმართულია საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის წინააღმდეგ, მამხილებელს უფლება აქვს, მხილების

განცხადებით მიმართოს ამ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ზემდგომ თანამდებობის პირს. აღნიშნული მოწესრიგების გვერდით, კანონი ასევე ახდენს საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპის კიდევ ერთხელ განმარტებას, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია, პირმა განიხილოს მხილების განცხადება, თუ იგი მიმართულია მის წინააღმდეგ ან ის პირადად, პირდაპირ, ან ირიბად დაინტერესებულია გადაწყვეტილების შედეგით, ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის მიუკერძოებლობას.

▶ მეთოდური მითითება

სასურველია, ჯგუფში გაკეთდეს აქცენტი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (სზაკ-ის) მე-8 და 92-ე მუხლებზე და შემოწმდეს, თუ რამდენად ახსოვს ჯგუფს ეს მოწესრიგება.

გ) რა შეიძლება გახდეს მხილების საგანი?

საქართველოს კანონმდებლობის ან საჯარო მოსამსახურეთა ქცევის წესების (ეთიკის კოდექსის) დარღვევა, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საჯარო ინტერესს ან საჯარო დაწესებულების რეპუტაციას. კანონში მოცემული განმარტება არის ზოგადი და საჭიროებს შეფასებას, თუ რა არის საფრთხე და ადგება თუ არა ზიანი დასაცავ სიკეთეებს, საჯარო ინტერესს, რაც ასევე განუსაზღვრელი ცნებაა და საჯარო დაწესებულების რეპუტაციას. ხშირად მხილების პროცესში ეს სიკეთეები ერთმანეთის პირისპირ დგანან.

▶ მეთოდური მითითება

შესაძლებელია, აქცენტი გაკეთდეს იმაზე, რომ მხილების შინაარსი არის ვიწრო და ის მოიცავს საჯარო დაწესებულებას. მისი მოქმედება არ ვრცელდება კერძო სექტორზე. ამ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა ჯგუფური დისკუსია.

მხილების ფორმა

მხილება შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობით, ისე ზეპირად, უშუალოდ ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით:

ელექტრონულად, ტელეფონით, ფაქსით.

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება. ამ შემთხვევაში, კანონი უშვებს ანონიმურ მხილებას, რაც ორგანოს ავალდებულებს, დაიწყოს წარმოება მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ანონიმური მხილება და მამხილებლის უფლება - დარჩეს ანონიმური. კანონის ბუნდოვანი მოწესრიგება იძლევა დასკვნის შესაძლებლობას, რომ საქართველოში ორივე დასაშვებია.

ანონიმურია მხილება, როდესაც მამხილებელი იდენტიფიცირებული არ არის. პრობლემურია ანონიმური მხილება მამხილებლის ცნებასთან მიმართებით. ანონიმური მამხილებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ხოლო მამხილებლის ცნება კონკრეტულ ან განსაზღვრებად სუბიექტს მოიცავს. ნებისმიერი პირი, რომელიც ფლობს ინფორმაციას, ვერ გახდება მამხილებელი. ის იძულებული რჩება, ანონიმურად ამხილოს.

თუ არ არსებობს მამხილებლის მიერ მისი ვინაობის გამჟღავნების წერილობით გამოხატული ნება, განცხადების განმხილველი ორგანო ვალდებულია არ გაამჟღავნოს მამხილებლის ვინაობა.

მხილება, რომელიც სარგებლობს
კანონით გარანტირებული დაცვით

► მეთოდური მითითება

საინტერესოა კანონის ძველი რედაქციის შედარებითი ანალიზი. ძველი რედაქციის თანახმად, ქართველი კანონმდებელი მხილების

დაცვის საკანონმდებლო გარანტიების გავრცელების წინაპირობებს ადგენს პოზიტიური და ნეგატიური დათქმის მეთოდით (ორმაგი განმარტება):

კანონმდებლის პოზიტიური განმარტების თანახმად, დაცვით სარგებლობს მხილება, რომელიც:

ა) არსებითად შეესაბამება სინამდვილეს და დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით;

ბ) გაკეთებულია კეთილსინდისიერად და იმის შეცნობით, რომ მხილება ხელს შეუწყობს კანონის ან საჯარო მოსამსახურეთა ქცევის წესების დარღვევის გამოვლენასა და აღკვეთას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მხილებით გამოწვეულ ზიანს.

იგივე შინაარსი მოცემულია ნეგატიური ფორმით, რომელიც ამბობს, რომ კანონით განსაზღვრული დაცვით არ სარგებლობს მხილება, თუ:

ა) მხილების შედეგად გამჟღავნებული ინფორმაცია არსებითად მცდარია, რაც მამხილებლისთვის წინასწარ იყო ან უნდა ყოფილიყო ცნობილი;

ბ) მამხილებელი მოქმედებს პირადი გამორჩენის მოტივით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დაწესებული სპეციალური ჯილდოს გარდა.

აღნიშნულის თანახმად, კანონმდებელი ადგენს 2 კრიტერიუმს:

1) მხილება არსებითად შეესაბამება სინამდვილეს ან არსებითად მცდარია.

2) მხილება ხდება კეთილსინდისიერად ან გამორჩენის მიზნით.

1. ინფორმაცია მაშინ შეესაბამება არსებითად სინამდვილეს, როდესაც მამხილებელი მას აფუძნებს მინიმალურ მტკიცებულებებს (გადამოწმების ვალდებულება) ან სულ მცირე, მისთვის არ არის ცნობილი, რომ ის არსებითად მცდარია.

2. მხილება არის კეთილსინდისიერი, როდესაც ის ემსახურება კანონით განსაზღვრული სიკეთეების დაცვას და მას არ აქვს მიზნად პირადი გამორჩენა. კანონის დათქმა, რომ ჯილდოს მიღება შეიძლება იყოს მხილების მოტივი, არ გულისხმობს, რომ მხოლოდ ეს ელემენტი არის საკმარისი. ამ შემთხვევაშიც აუცილებელია მთავარი კრიტერიუმის არსებობა - კანონით დაცული სიკეთეების დაცვა.

კანონის ახალი რედაქცია ასევე ადგენს, რომ მხილება კეთილსინდისიერი უნდა იყოს და მხილებას მიიჩნევს კეთილსინდისიერად, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. მხილების პროცესში მნიშვნელოვანია არა ინფორმაციის სისწორე, არამედ მამხილებლის განზრახვა.

მამხილებლის დაცვის გარანტიები

მხილების საკანონმდებლო მოწესრიგებას აქვს ის მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომ მხილების განხორციელებით ერთვება დაცვის საკანონმდებლო გარანტიები. ქმედება, რომელიც მიმართულია მამხილებლის დაშინების, შევიწროების ან მასზე ზეწოლის განხორციელებისკენ, აგრეთვე მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა შეიძლება გახდეს ასეთი ქმედების განმახორციელებლის მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების საფუძველი.

მხილების საქმეზე ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში (მოკვლევის დასრულებამდე) კანონი კრძალავს მამხილებლის წინააღმდეგ დისციპლინური ან ადმინისტრაციული წარმოების, სამოქალაქო პროცესის ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას მხილების ფაქტთან დაკავშირებული გარემოებების გამო.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის ეტაპზე ასევე დაუშვებელია მამხილებლის გათავისუფლება ან დროებით ჩამოშორება დაკავებული თანამდებობიდან, ან სამუშაო ადგილიდან, ან სამართლებრივი ურთიერთობის მოშლა მანამ, სანამ არ დადგინდება მამხილებლის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდების ფაქტი.

მამხილებლის დაცვის გარანტიები არის მაღალი და ის ასევე ვრცელდება მამხილებლის წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინურ დევნაზე, სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პროცესზე, რომელიც არ უკავშირდება მხილების ფაქტს. კანონის მოთხოვნაა, რომ ეს პროცესი შეჩერდეს. პროცესის გაგრძელების ინტერესმა შესაძლებელია გადაწონოს მამხილებლის დაცვის ინტერესი,

როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების ხელყოფის, კონსტიტუციური წყობილების ძალადობით დამხობის, ეთნიკური ან რელიგიური შუღლის გაღვივების თავიდან აცილებისთვის.

კანონმდებელმა ზუსტად განსაზღვრა გადაწყვეტილების მიღების ის კრიტერიუმები (სიკეთეები), რომლის შეფასების ვალდებულებაც აქვს ნორმის შემფარდებელს. საჯარო დაწესებულება შეფასების შედეგად თუ კი მივა დასკვნამდე, რომ აუცილებელია მამხილებლის წინააღმდეგ სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პროცესის, თუ დისციპლინური წარმოების განხორციელება, ის ვალდებულია დაასაბუთოს, რომ მამხილებლის წინააღმდეგ სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პროცესის, თუ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი არ არის მხილების ფაქტი და არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველები.

გადაწყვეტილების დასაბუთებულობის აუცილებლობა არის ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი პრინციპი. კანონმდებელი გადაწყვეტილების მიმღებს ასევე განუსაზღვრავს დასაბუთებისათვის აუცილებელ კრიტერიუმებს. შემზღუდველი მმართველობითი ღონისძიებისათვის, კანონისმიერი დათქმის აუცილებლობის პრინციპიდან გამომდინარე, კანონმდებელი ადგენს შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველების მინიმალურ მასშტაბებს.

მამხილებლის დაცვის ამ ზოგადი გარანტიების მიღმა, კანონმდებელი ასევე ადგენს მამხილებლის მიმართ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას. მამხილებელმა ამ უფლებით შეიძლება ისარგებლოს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მხილების საქმეში მოწმის, აგრეთვე მისი ახლო ნათესავის დაცვის მიზნით. ასეთი დაცვის აუცილებლობა უნდა გამომდინარეობდეს მამხილებლის, მოწმის ან მამხილებლის ახლო ნათესავის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის თავიდან აცილების ინტერესებიდან.

ადმინისტრაციული წარმოება

▶ მეთოდური მითითება

სასურველია სზაკ-ით დადგენილი წესების მოკლე ანალიზი და ადმინისტრაციული წარმოების სახეების ძირითადი მახასიათებლების შესენება ჯგუფისათვის.

კანონი ითვალისწინებს მხილების განცხადების განხილვის შესაძლებლობას ადმინისტრაციული წარმოების იმ სახის გამოყენებით, რომელიც შეიძლება დადგინდეს საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების დებულებით. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ადგენს სზაკ-ით დადგენილი ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით განხილვის ვალდებულებას.

ადმინისტრაციულ წარმოებას ჰყავს მონაწილეები, რომელთა უფლებებიც დაცულია სზაკ-ით. კანონი იცავს როგორც მამხილებლის, ასევე მხილებულის სამართლებრივ უფლებებს.

მხილებულს უნდა ეცნობოს მის წინააღმდეგ მიმართული მხილების განცხადების და არსებული მტკიცებულებების შესახებ. მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, პასუხი გასცეს მხილებას მხილების განცხადებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

განცხადების განმხილველი ორგანო მხილების განცხადებას განიხილავს მისი წარდგენიდან 1 თვის ვადაში. რაც შეეხება ვადების გაგრძელებას, კანონში არ არის ეს მოწესრიგებული, რაც არ გამოორიცხავს სზაკ-ით დადგენილი ზოგადი წესის გამოყენების შესაძლებლობას.

კანონი ადგენს განცხადების განმხილველი ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმას და რეკვიზიტებს. გადაწყვეტილება წერილობით უნდა გამოიცეს და უნდა მოიცავდეს:

- ა) მხილების ფაქტობრივი გარემოებების აღწერას;
- ბ) გამოკვლეული მტკიცებულებების ჩამონათვალსა და აღწერას;
- გ) მხილებულის პოზიციას;
- დ) გადაწყვეტილების დასაბუთებას.

კანონი ასევე იმეორებს სზაკ-ის მოთხოვნას, რომ დაუშვებელია, განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება დაეფუძნოს იმ გარემოებას, ფაქტს, მტკიცებულებას ან არგუმენტს, რომელიც მხილების განცხადების განხილვის პროცესში სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი არ ყოფილა.

კანონი ითვალისწინებს მიღებული გადაწყვეტილების მხილებულისა და მამხილებლისათვის (თუ კი ანონიმური არ არის) გაცნობის ვალდებულებას მისი მიღებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

▶ მეთოდური მითითება

შესაძლებელია ჯგუფში მოხდეს ანალიზი იმისა, თუ დაინტერესებული მხარის რა უფლებებია მოცემული სზაკ-ში. ასევე უნდა გაკეთდეს აქცენტი კანონში გამოყენებულ ტერმინზე - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს დამუსტებას.

სემინარის ბოლოს შესაძლებელია დისკუსია კანონის ხარვეზებზე და მოვისმინოთ ჯგუფის მოსაზრებები მასში შესატან ცვლილებებზე.

საქართველოს კანონი

საჯარო სამსახურში ინფორმაცია შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ

თავი V¹. მამხილებლის დაცვა

მუხლი 20¹ ამ თავის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი

მნიშვნელობა:

ა) მხილება – საჯარო მოსამსახურის ან ყოფილი საჯარო მოსამსახურის (მამხილებლის) მიერ განცხადებისგანმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან/და საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმირება საჯარო მოსამსახურის (მხილებულის) მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელმაც ზიანი მიაყენა ან შეიძლება მიაყენოს საჯარო ინტერესს ან შესაბამისი საჯარო დაწესებულების რეპუტაციას. მხილებად აგრეთვე ჩაითვლება მამხილებლის მიერ ზემოაღნიშნული დარღვევის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 თვის შემდეგ;

ბ) ანონიმური მხილება – მხილება, როდესაც მამხილებელი იდენტიფიცირებული არ არის;

გ) განცხადების განმხილველი ორგანო – შესაბამისი საჯარო დაწესებულების შიდა კონტროლის, აუდიტის ან სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი;

დ) იძულებითი ზომები – „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, ან მამხილებლის თანხმობის გარეშე მისთვის სამუშაო ადგილის შეცვლა, ხელშეკრულების პირობების გაუარესება,

სამსახურში მიღებაზე, აღდგენაზე ან დაწინაურებაზე უარის თქმა, ან/ და სხვა ქმედება, რომელმაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს მამხილებლის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეზღუდვა ან მდგომარეობის ან/ და სამუშაო პირობების გაუარესება;

ე) მამხილებლის ახლო ნათესავი – მამხილებლის მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული), შვილი, შვილობილი, გერი, მშობელი, შვილად ამყვანი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მამხილებელთან მუდმივად მცხოვრები პირი.

საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1157-სსმ, №9, 13.04.2009წ., მუხ.40 საქართველოს 2014 წლის 2 აპრილის კანონი №2172 - ვებგვერდი, 14.04.2014წ.

მუხლი 20²

1. მხილება კეთილსინდისიერი უნდა იყოს და უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კანონმდებლობის ან ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის პრევენციას, გამოვლენას ან აღკვეთას ან/და საჯარო ინტერესის დაცვას.

2. მხილება კეთილსინდისიერად ითვლება, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.

საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1157-სსმ, №9, 13.04.2009წ., მუხ.40 საქართველოს 2014 წლის 2 აპრილის კანონი №2172 - ვებგვერდი, 14.04.2014წ.

მუხლი 20³

1. მხილება შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობით, ისე ზეპირად, ელექტრონულად, ტელეფონით, ფაქსით ან სხვა საშუალებით.

2. მხილება შეიძლება ანონიმური იყოს.

3. თუ არ არსებობს მამხილებლის მიერ მისი ვინაობის გამჟღავნების წერილობით გამოხატული ნება, განცხადების განმხილველი ორგანო ვალდებულია არ გაამჟღავნოს მამხილებლის ვინაობა.

4. საჯარო მოსამსახურის მიერ ამ მუხლის მოთხოვნის ბრალეული დარღვევა, თუ ის დანაშაული ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ არის, იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1157-სსმ, №9, 13.04.2009წ., მუხ.40

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6328 - ვებგვერდი, 12.06.2012წ. საქართველოს 2014 წლის 2 აპრილის კანონი №2172 - ვებგვერდი, 14.04.2014წ.

მუხლი 20⁴

1. დაუშვებელია მამხილებლის ან მისი ახლო ნათესავის დაშინება, შევიწროება, იძულება, დამცირება, დევნა, მასზე ზეწოლა, მისთვის მორალური ან მატერიალური ზიანის მიყენება, მის მიმართ ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენება, დისკრიმინაციული მოპყრობა ან სხვა უკანონო ქმედების განხორციელება მხილებისფაქტთან დაკავშირებით.

2. დაუშვებელია მამხილებლის მიმართ ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართალწარმოების ან სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და მისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება, აგრეთვე მის მიმართ იძულებითი ზომების გამოყენება მხილების ფაქტთან დაკავშირებული გარემოებების გამო.

3. თუ მამხილებლის მიმართ წარმოებს დისციპლინური დევნა, ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პროცესი, ის უნდა შეჩერდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) დისციპლინური დევნა, ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პროცესი დაკავშირებული არ არის მხილების ფაქტთან;

ბ) ამ მუხლით დადგენილი დაცვის გარანტიებით სარგებლობის მიზანია სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების ხელყოფა, მისი კონსტიტუციური წყობილების დამხობა, ეთნიკური ან რელიგიური შუღლის გაღვივება.

4. მამხილებლის მიმართ იძულებითი ზომების გამოყენებისას, ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას შესაბამისი საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაასაბუთოს, რომ ეს დაკავშირებული არ არის მხილების ფაქტთან და ამისათვის არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი.

5. ამ მუხლით დადგენილი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის მონიტორინგს ახორციელებს შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი.

6. სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას მხილებასთან დაკავშირებული საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, თუ ამ საქმეში

მონაწილეობის გამო მამხილებლის, მისი ახლო ნათესავის ან მხილების მოწმის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას საფრთხე ემუქრება, მამხილებელი, მისი ახლო ნათესავი, მხილების მოწმე ან განცხადების განმხილველი ორგანო უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს პროკურატურას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ.

7. განცხადების განმხილველი ორგანოს ან შესაბამისი საჯარო დაწესებულების მიერ ამ მუხლის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში მამხილებელი უფლებამოსილია მიმართოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის XIV თავით დადგენილი წესით სასამართლოში გაასაჩივროს სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანება, განკარგულება, მიღებული გადაწყვეტილება და განხორციელებული ქმედება.

საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1157-სსმ, №9, 13.04.2009წ., მუხ.40 საქართველოს 2014 წლის 2 აპრილის კანონი №2172 - ვებგვერდი, 14.04.2014წ.

მუხლი 20⁵

მამხილებელი დაცვის გარანტიებით სარგებლობს განუზღვრავად იმისა, მხილების შედეგად გამჟღავნებული ინფორმაცია სწორია თუ მცდარი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) მხილების შედეგად გამჟღავნებული ინფორმაცია მცდარია, რაც მამხილებლისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან ცნობილი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მას შეეძლო გადაემოწმებინა მხილებისათვის საჭირო ინფორმაციის სისწორე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან ამ ინფორმაციის გადამოწმებისთვის აუცილებელი ყველა შესაძლო ზომა მიიღო და მისი მცდარობა მაინც ვერ დაადგინა;

ბ) მამხილებელი მოქმედებს თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის მისაღებად, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სპეციალური ჯილდოს მიღების შემთხვევისა;

გ) მამხილებელი ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ მხილების ფაქტობრივი გარემოებები საჯაროდ ცნობილია ან ცნობილია

განცხადების განმხილველი ორგანოსთვის.

საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1157-სსმ, №9, 13.04.2009წ., მუხ.40 საქართველოს 2014 წლის 2 აპრილის კანონი №2172 - ვებგვერდი, 14.04.2014წ.

მუხლი 20⁶

1. განცხადების განმხილველი ორგანო მხილების განცხადებას განიხილავს მისი წარდგენიდან 1 თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობითა და საკუთარი დებულებით დადგენილი წესით, ხოლო შესაბამისი წესების არარსებობის შემთხვევაში – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით.

2. თუ მხილების განცხადების განხილვის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ ჩადენილი დარღვევა შესაძლებელია გახდეს მხილებულისთვის ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, განცხადების განმხილველი ორგანო ვალდებულია მიმართოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს.

3. ამ კანონის 204 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად შეჩერებული სამართალწარმოება განახლება შესაბამისი განცხადების განმხილველი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1157-სსმ, №9, 13.04.2009წ., მუხ.40 საქართველოს 2014 წლის 2 აპრილის კანონი №2172 - ვებგვერდი, 14.04.2014წ.

მუხლი 20⁷

1. თუ მხილების განცხადება მიმართულია საჯარო დაწესებულების შიდა კონტროლის, აუდიტის ან სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლის წინააღმდეგ, მამხილებელს უფლება აქვს, მხილების განცხადებით მიმართოს ამ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს.

2. თუ მხილების განცხადება მიმართულია საჯარო დაწესებულების შიდა კონტროლის, აუდიტის ან სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის წინააღმდეგ, მამხილებელს უფლება აქვს, მხილების განცხადებით

მიმართოს ამ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს.

3. თუ მხილების განცხადება მიმართულია საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის წინააღმდეგ, მამხილებელს უფლება აქვს, მხილების განცხადებით მიმართოს ამ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ზემდგომ თანამდებობის პირს.

საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1157-სსმ, №9, 13.04.2009წ., მუხ.40 საქართველოს 2014 წლის 2 აპრილის კანონი №2172 ვებგვერდი, 14.04.2014წ.

მუხლი 20⁸

დაუშვებელია, პირმა განიხილოს მხილების განცხადება, თუ ეს განცხადება მიმართულია მის წინააღმდეგ, ან ის პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია გადაწყვეტილების შედეგით, ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის მიუკერძოებლობას.

საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1157-სსმ, №9, 13.04.2009წ., მუხ.40 საქართველოს 2014 წლის 2 აპრილის კანონი №2172 - ვებგვერდი, 14.04.2014წ.

მუხლი 20⁹

მხილებულს უნდა ეცნობოს მის წინააღმდეგ მიმართული მხილების განცხადების და არსებული მტკიცებულებების შესახებ. მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, პასუხი გასცეს მხილებას მხილების განცხადებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. მხილებულის პოზიცია უნდა აისახოს განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებაში.

საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1157-სსმ, №9, 13.04.2009წ., მუხ.40 საქართველოს 2014 წლის 2 აპრილის კანონი №2172 - ვებგვერდი, 14.04.2014წ.

მუხლი 20¹⁰

1. განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება წერილობით უნდა გაფორმდეს და უნდა შეიცავდეს:

ა) მხილების ფაქტობრივი გარემოებების აღწერას;

ბ) გამოკვლეული მტკიცებულებების ჩამონათვალსა და აღწერას;

გ) მხილებულის პოზიციას;

დ) გადაწყვეტილების დასაბუთებას.

2. დაუშვებელია, განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება დაეფუძნოს იმ გარემოებას, ფაქტს, მტკიცებულებას ან არგუმენტს, რომელიც მხილების განცხადების განხილვის პროცესში სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი არ ყოფილა.

3. განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება მიღებიდან

15 სამუშაო დღის ვადაში ეცნობებათ მხილებულსა და მამხილებელს. ანონიმური მხილების შემთხვევაში განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება ეცნობება მხოლოდ მხილებულს.

4. მხილების განცხადებაზე მიღებული გადაწყვეტილება

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია. მისი ძალაში შესვლის, აღსრულებისა და გასაჩივრების წესი დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით.

საქართველოს 2014 წლის 2 აპრილის კანონი №2172 - ვებგვერდი, 14.04.2014წ.

მუხლი 20¹¹

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მხილების საკითხები რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით.

საქართველოს 2014 წლის 2 აპრილის კანონი №2172 - ვებგვერდი, 14.04.2014წ.

